პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ კომიტეტების და ცაკის ორგანო

№ 13 (4170) | ორშაბათი, 14 იანვარი 1935 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური კულტურის მწვერვალების დასაპყრობად

საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობამ გუშინ მოისმინა მოხსენება განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. ამხ. თათარიშვილმა გადაშალა საბჭოთა საქართველოს კულტურული მშენებლობის მომხიბლავი სურათი. სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა მიღწევებმა განსაზღვრეს მიღწევები ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. მსოფლიოს ერთ მეექვსედზე იბადება ახალი, სოციალისტური კულტურა, რომლისთვისაც უცხოა დაკნინების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული კულტურის დამახასიათებელი ნიშნები: სასოწარკვეთილება, იდეალების გაცრუება, უკანსვლა.

ქალაქის და სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შეუჩერებელმა ზრდამ გაადიდა და გაამრავალფეროვანა მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებებიც. საბჭოთა საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი მიღწევებით კულტურის სხვადასხვა დარგში. 20.320 დაწყებითი სკოლა, მრავალი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულება, არასრული და სრული საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და საპოლიტგანმანათლებლო ბაზა — აი ჩვენი კულტურის უმთავრესი კერები.

საქართველოს კულტურის უმაგალითო ზრდის მაჩვენებელია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1934 წელში საქართველოში ძირითადად დასრულდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. დიდი დაბრკოლებები იქნა გადალახული ნაცუმცირესობათა რესპუბლიკებსა და რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში.

პარტია და ხელისუფლება დიდი მზრუნველობით ეპყრობიან კულტურულ ფრონტს. მათ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი კულტურის ამათუიმ დარგის განვითარებისათვის. სწორედ ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად მივიღეთ კულტურის ფრონტზე საამაყო შედეგები. სკოლების ქსელის რაოდენობრივად ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სწავლების ხარისხიც, განმტკიცდა მასწავლებლის წამყვანი როლი, სასკოლო დისციპლინა; მოხდა მშრომელი მოსახლეობის დარაზმვა სკოლის გარშემო.

სკოლების ქსელის და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მასწავლებელთა რაოდენობაც. მე-6 ყრილობიდან მე-7-მდე მტკიცე ნიადაგზე იქნა დაყენებული პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, თუმცა მასწავლებლებზე, ბიბლიოთეკარებზე და სხვა კვალიფიციურ კულტურულ მუშაკებზე უაღრესად გაზრდილი მოთხოვნილება ჯერ კიდევ ვერ დაგვიკმაყოფილებია.

საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის, სოციალისტური კულტურის მშენებელთა კადრებში როგორც ეს ერთხელ კიდევ მკვეთრად დადასტურდა ყრილობაზე ამ ინტელიგენციის გამოსვლით, მოხდა ძირითადი გარდატეხა, მისი დაახლოვება საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს ცვლილება არ ახასიათებს კულტურის მარტო ერთ რომელიმე დარგს, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი კადრები გადაჭრით მობრუნდენ სოციალისტური მშენებლობისაკენ. სოციალისტური სინამდვილე იქცა თემად ქართველი საბჭოთა მწერლებისათვის. ბევრმა ქართველმა მწერალმა მოახდინა შემოქმედებითი გადაიარაღება და თავის მუშაობაში სრული შეგნებით დაადგა სოციალისტური სინამდვილის გამოსახვის გზას.

ასეთივე ცვლილებებს ვხედავთ თეატრის, კინოს, არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების და სხვა დარგების მუშაკთა შორისაც. ცნობილი თეატრალური მუშაკები, ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკების ოსტატები თანდათანობით ეუფლებიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მონდომებით სძლევენ ფორმალიზმის, არაპროლეტარული იდეოლოგიის ნაშთებს.

კულტურული ზრდა მიმდინარეობს არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც; განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ზრდა ნაცუმცირესობათა რაიონებში. ყველა რაიონს, სკოლებს გარდა, გააჩნია კულტურული მუშაობის მრავალი კერა (კლუბი სამკითხველო, თეატრი, კინო). თითქმის ყველა რაიონში შექმნილია რაიონული თეატრები. მართალია, ბევრი რაიონული თეატრი არაა განმტკიცებული დახელოვნებული ძალებით, ბევრ ბიბლიოთეკას არ გააჩნია კვალიფიციური მუშაკები, მაგრამ მიღწეული წარმატებები იმის თავდებია, რომ ჩვენი სოფლების კულტურული განვითარება კიდევ უფრო ჩქარა წავა აღმავალი გზით.

უაღრესად გაიზარდა მეცნიერება საქართველოში. ამჟამად მთელს რესპუბლიკაში 121 სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლებიც ამზადებენ კადრებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისთვის. საგრძნობლად ამაღლდა სწავლების ხარისხი უმაღლეს სასწავლებლებში. გაფართოვდა საკვლევაძიებო სამუშაოები; სახ. უნივერსიტეტი, თავისი საკვლევო ინსტიტუტებით და კათედრებით, იქცევა მეცნიერული აზრის მთავარ კერად საქართველოში. იზრდებიან ახალგაზრდა პროლეტარული სამეცნიერო კადრები; იბეჭდება და ქვეყნდება მრავალი მეცნიერული ნაშრომი. სამეცნიერო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში მუშავდება უმნიშვნელოვანესი პრობლემები სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგებიდან.

ასეთია, მოკლედ, საბჭოთა საქართველოს მზარდი კულტურული ფრონტი. რასაკვირველია, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩენია; ნაკლოვანებები არცთუ ისე უმნიშვნელოა. მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა მთავარ საზრუნავ საგნად კულტურის ყველა დარგში.

მიღწევები კულტურულ ფრონტზე საბჭოთა საქართველომ მოიპოვა კლასობრივი მტრის იდეოლოგიის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით. საანგარიშო პერიოდში არაერთხელ გამოაშკარავებულა კულტურის სხვადასხვა დარგში კლასობრივი მტრის აშკარა თუ შენიღბული იდეოლოგია. ანტიპროლეტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ და პარტიის გენერალური ხაზის დაცვისთვის შეუპოვარმა ბრძოლამ უზრუნველყო ჩვენი კულტურის სწრაფი განვითარება და აღმავლობა.

კულტურული მშენებლობის ფრონტზე გრანდიოზული ამოცანები ისახება. ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალისტური ნაშთების დაძლევაში უაღრესად დიდია საბჭოთა კულტურის როლი. ჩვენი ამოცანაა გავატაროთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება არასრულ საშუალო სკოლის ფარგლებში. ჩვენი ქვეყანა უნდა მოვფინოთ სამეცნიერო, სასკოლო, მასობრივ და საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით. ჩვენი გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძლებთ კულტურის ფრონტზედაც კიდევ უფრო დიდი მწვერვალების დაპყრობას.

მოსკოვის საბჭოების საოლქო ყრილობის მისალმება

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-VII ყრილობას

მოსკოვის საბჭოების მე-7 საოლქო ყრილობა მოსკოვის და მოსკოვის ოლქის 12 მილ. მუშის, კოლმეურნის და მშრომელის სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საბჭოთა საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის ყველა მუშას, კოლმეურნეებს და მშრომელებს.

საბჭოების მთელ ქვეყანასთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია და ყველა მშრომელის ბელადი, დიდი სტალინი, წარსულში ჩამორჩენილი, ნაციონალური შუღლით დაუძლურებული, ცარიზმის მიერ ჩაგრული, ამჟამად საბჭოთა საქართველო საბჭოების მე-7 ყრილობას შეხვდა უდიდესი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, მან დაგვანახვა ბოლშევიკური მუშაობა მრეწველობაში, სპეციალური ტექნიკური კულტურების განვითარებაში, კოლმეურნეობათა განმტკიცებაში და გვაძლევს ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობის ნიმუშებს ქვეყანა, სადაც ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა დიდმა სტალინმა, ეს ქვეყანა საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელობით გვიჩვენებს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ მომავალშიაც გვიჩვენებს, ლენინ - სტალინის პარტიის და საბჭოთა მთავრობის გარშემო ბოლშევიკური ორგანიზებულობის და შემჭიდროების ნიმუშს.

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მუშურგლეხურ ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს და მასწავლებელს ამხ. სტალინს!

მოსკოვის საბჭოების საოლქო ყრილობა.

საქართველოს კულტურულ მუშაკთა არმიის მისალმება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. სტალინს!

საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობას

თქვენდამი, მთელი მსოფლიოს პროლეტარებისა და მშრომელების საყვარელი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლისადმი, ჩვენი ეპოქის უდიდესი გენიისადმი მიმართულია საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობის გახსნის დღეს, საქართველოს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკთა მხურვალე, გულწრფელი გრძნობები.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. ინდუსტრიალიზაციის და საკოლმეურნეო წყობილების გრანიტის საფუძველზე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა განამტკიცა თავდაცვითი ძლიერება და გადაიქცა სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ხალხის მტრების თავზარდასაცემად და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ იზრდება და მტკიცდება საბჭოების უძლეველი ხელისუფლება. ლენინ-სტალინის პარტიას გაბედულად მიჰყავს ჩვენი სოციალისტური სამშობლო ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ, ახალი, ნათელი, სასიხარულო ცხოვრებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიულმა გამარჯვებებმა სოციალისტური მრეწველობის და საკოლმეურნეო წყობილების შექმნის საქმეში უზრუნველყვეს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურის და ხელოვნების აყვავება, რაც უმაგალითო და შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს, და შეგნებულ შემოქმედებით ცხოვრებასა და მუშაობაში ჩააბეს საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის ყველა საუკეთესო ძალები.

იმ დროს, როცა კაპიტალიზმის კრიზისი და სისხლიანი ფაშისტური დიქტატურის პარპაში ანადგურებს კულტურისა და მეცნიერების საფუძვლებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ალადგენს რა შუასაუკუნოებრივ ბარბაროსობას და სიბნელეს, — ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სწრაფად ვითარდება მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, ლიტერატურა და კინო, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლები, ყველა იმ სიმდიდრეთა დაუფლების და კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე, რომლებიც შექმნა კაცობრიობამ.

თქვენს სახელთან, ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ზეიმი და აყვავება. ახალი ცხოვრებისათვის დიად ბრძოლაში იბადება სოციალისტური საზოგადოების ახალი ადამიანი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც განუხრელად ანხორციელებს ლენინურ - სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ჩვენი პატარა ქვეყნის — საქართველოს — მშრომელმა მასებმა, იმ ქვეყნის, რომელიც წარსულში გასრესილი იყო ცარიზმის რკინის ქუსლით, რომელიც მენშევიკების დანაშაულებრივი პოლიტიკით გადაცემული ჰქონდათ საძარცვად ევროპის იმპერიალიზმის აგენტებს და იტანჯებოდა მენშევიკური შოვინიზმის მესვეურების წაქეზებით ეროვნებათა შორის გაღვივებულ შუღლში, — საქართველოს ამ მშრომელმა მასებმა საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატთან ერთად თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით გაანადგურეს კლასობრივი მტრები მენშევიზმის, ნაციონალ - უკლონიზმის და ყველა მათი აშკარა და ფარული მიმდევრების სახით და გამოააშკარავეს შინაგანი და გარეგანი ემიგრაცია. საქართველო ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ აგრარულ ქვეყნად. ქვეყანა, რომელსაც თითქმის არავითარი მრეწველობა არ ჰქონდა, დაიფარა სამრეწველო კერების ქსელით. ელექტროფიკაციამ, ნავთმა, მარგანეცმა, ქიმიამ, ნახშირმა, მანქანათმშენებლობამ, საფეიქრო საქმემ ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი რესპუბლიკის სახე.

საქართველო პრიმიტიული პატრიარქალური მიწათმოქმედების ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე საკოლმეურნეო სასოფლო მეურნეობის ქვეყნად, ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ქვეყნად.

ძნელია, ახლა, ამხანაგო სტალინ, ჩვენი ქვეყნის ცნობა, რომელიც საუკუნოებით გმინავდა ცარიზმის უღელ ქვეშ, რომელსაც სამ წელიწადს ძარცვავდენ, სწვავდენ, მუსრს ავლებდენ მენშევიკური ბანდები საერთაშორისო იმპერიალიზმის ყაჩაღებთან ერთად.

გადაიშალა ჩვენი ქვეყნის წიაღი და იქიდან ამოაქვთ მარგანეცი, ნახშირი, ბარიტი, სპილენძი, რკინა, ნავთი და მათ საფუძველზე ჩვენს ლაჟვარდოვან ცაში ასვეტილია ასეულ ფაბრიკა - ქარხნების მილები, რომლებიც მთელს ქვეყანას აუწყებენ ჩვენი ინდუსტრიალური ძლიერების ზრდას. ტრაქტორების მწკრივი მიარღვევს ჩვენი მინდვრების საუკუნეობით ხელუხლებელ ყამირს და კოლმეურნეთა არმიის სასიხარულოდ ათიათასობით ჰექტარი ხარბად ისრუტავს ჩვენი მთის ნაკადების ტენს, რომელიც გეგმაშეწონილად მიაქვს ველ-მინდვრებში სარწყავი არხების ქსელს. მძლავრმა ტექნიკამ აფხიკა და ძირფესვიანად ამოაგდო საქართველოს ზღვის სანაპიროების საუკუნოვანი ჭალები და ბორცვების რბილ კონტურებს გადაავლო ჩაის, მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის ქარგის სუბტროპიკული კონტურები. კახეთის გორაკებისა და ველების ჯუჯა ვენახები გაიშალენ თვალუწვდენელ სახალხო მამულების ოქროსფერ ხვეულებად, სადაც ყურძენი მწიფდება მირზაანის შადრევნების მეზობლად, რომლებმაც პირველად ამოხეთქა საქართველოს წიაღიდან. ალგეთის ველების ქვიანი ფენები გაივლიან სალითოგრაფო სახეხ დაზგას და მათ ხარკისებურ ძარღვებზე აღიბეჭდება რუსთაველის ენის ასოები. მძლავრი საბჭოთა მეურნეობანი გადაიშალენ ალაზნის ველზე და იმ ადგილებში, სადაც წინათ ადამიანი არ ცხოვრობდა, დღეს აღმართულია კაპიტალური მრავალსართულიანი შენობები, და მიდამოები, სადაც წინათ მხოლოდ მგლის თვალი ანათებდა, გაჩირაღდნებულია ელექტრონის შუქით.

საქართველოს მძლავრი მდინარეები ჩაჭედილია რკინა - ბეტონის აკვედუკებში და მათი ნაკადების შხეფები, რომლებიც წინათ აღვივებდა რუსი და ქართველი პოეტების პოეტურ პათოსს, საბჭოთა წარმოების გენერატორების საშუალებით აჩენს ელექტროენერგიას, რომელიც გარდაიქმნება სინათლედ და წევის ძალად რკინიგზებისათვის, ქარხნებისათვის და საქართველოს ქალაქებისათვის, რომლებიც ახლებურად შენდება.

ყოველივე ეს მოპოვებულია საბჭოთა პერიოდის მანძილზე, მაგრამ განსაკუთრებული მიღწევები მოვიპოვეთ ჩვენ საქართველოს საბჭოების მე-6 ყრილობიდან მე-7 ყრილობამდე შენი ბრძნული მითითებების შესრულების საფუძველზე ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას დახმარებით.

საყოველთაო სწავლება დაწყებით და საშუალო სკოლაში, სამშობლო ენაზე მოსწავლე ნახევარი მილიონი მოწაფე ქვეყანაში, სადაც სამი მილიონი მოსახლეა, 15 უმაღლესი სასწავლებელი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, 16 ათასი სტუდენტი, 120-ზე მეტი სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი 4 ნახ. ათასი სტუდენტით, ათასობით ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი და სხვ. ძირითად ეროვნებათა მუშებისა და გლეხების წრიდან, სამხატვრო აკადემია, ხელოვნების ასობით ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკი, სახელმწიფო კონსერვატორია და სხვ.—ასეთია მჭერმეტყველური ფაქტები.

დიდი მეცნიერული ნაშრომები მთელი რიგი სპეციალური დისციპლინების დარგში, მეცნიერები საკავშირო სახელით, დიდი მიღწევები მედიცინის დარგში, საინჟინეროტექნიკური ძალების მუშაობა მძლავრ ჰიდრო-ელექტრონის და საირიგაციო ნაგებობათა შესაქმნელად, არქიტექტურის განვითარება, მოწმობს, რომ დაუშრობლად მუშაობს მეცნიერული აზრი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სახალხო - სამეურნეო ცხოვრებაში. ჩაის ინსტიტუტის, გამოყენებითი მინერალოგიის, გეოლოგიის ინსტიტუტის, კოლხიდის საცდელი სადგურის და სხვ. მუშაობა სოციალისტური მშენებლობის პათოსის მაჩვენებელია. სამეცნიერო დაწესებულებებს ჰყავთ ახალგაზრდა ასპირანტთა არმია 500 კაცის შემადგენლობით — ფაქტი, რომელიც საბჭოთა საქართველოში მეცნიერების საქმის ზრდისა და განვითარების მომასწავებელია.

ძვირფასო ამხ. სტალინ! ზოგიერთი ჩვენგანი ერთბაშად როდი ჩადგა დიადი სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა რიგებში, მათ მანამდე განვლეს ეჭვებისა და მერყეობის გზა. ქართველი ინტელიგენციის შორის აღმოჩნდენ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა უბადრუკი ნაშთები, რომლებიც, მას შემდეგ, რაც მათ ზიზღით შეაქცია ზურგი მშრომელმა ხალხმა, დაადგენ კონტრრევოლუციის და მავნებლობის გზას. ბევრ ინტელიგენტს, რომლებმაც ვერ გაიგეს საბჭოთა კულტურის დიდი ისტორიული აზრი, თვალი დასავლეთისაკენ ეჭირათ. ქართველი ინტელიგენციის მოპოლიტიკანე ნაწილი ცდილობდა დაენგრა საბჭოთა საქართველოში დამპალი ბურჟუაზიული კულტურის ელემენტები. სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა ზეგავლენით და კომუნისტური პარტიის გულისხმიერი, ყურადღებითი დამოკიდებულების მეოხებით ქართველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელმაც დაგმო ყოველგვარი მერყეობა და კონტრრევოლუციური მავნებლობა, დადგა სოციალიზმის დროშის ქვეშ, დაირაზმა ბოლშევიკების პარტიის გარშემო, შეუსისხლხორცდა მას და მთელი თავის ძალებს, ნიჭს და ცოდნას ახმარს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეს. ახლა თვითეული ჩვენგანი ამაყობს იმის შეგნებით, რომ უდიდეს გამარჯვებებში საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენც შეძლებისდაგვარი შრომა მიგვიძღვის.

საქართველოს ფერწერის, აგრეთვე სკულპტურის წახალისების და აღმაფრენის ერთერთ წყაროს, რომელიც შთამომავლობისათვის ქვის ენაზე აღბეჭდავს ჩვენი დღეების გმირულ საქმეებს, წარმოადგენს მეფის „დიდების ტაძრის“ — ჩვენთვის მონობისა და შეურაცხყოფის ტაძრის გადაცემა საქართველოს მხატვართა კავშირისათვის. ძველი მხატვრობის შესწავლის საქმეში მოსაზრუნებელ პუნქტს წარმოადგენს საპატიმრო სახლის გაუქმება მეტეხის ციხეში, — მეფის ამიერ - კავკასიის ბასტილიაში და მისი გადაცემა უძველესი ხელოვნების მუზეუმისათვის.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ღონისძიებანი, რომლებიც თქვენს მითითებათა საფუძველზე ხორციელდება, აღაგზნებენ ჩვენს გონებას, ჩვენს გულს და ნებისყოფას. ამის შედეგად ჩვენ გავშალეთ ნამდვილი საბჭოთა ხელოვნება, შევქმენით საბჭოთა კავშირის ერთერთი საუკეთესო თეატრი — რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც საუკეთესო შეფასება მიიღო საკავშირო შეჯიბრებაზე მოსკოვში და რომელიც მუშაობს სცენის დიდი ოსტატის სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, განვავითარეთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, შევქმენით ათობით ქართული ოპერები, და საფუძველი ჩავუყარეთ საქართველოს კინო-მრეწველობის — ხელოვნებათაგან ამ „უაღრესად მნიშვნელოვანი“, უაღრესად მასობრივი დარგის განვითარებას და მოკლე ხნის განმავლობაში შევქმენით მთელი რიგი დიდი მხატვრული ნაწარმოები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1932 წლის 23 აპრილის ლიტერატურის შესახებ გამოტანილი ისტორიული გადაწყვეტილების საფუძველზე, ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც სძლიოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოხატულებებს, ვითარდებოდა სოციალისტური რეალიზმის გზით და რომელსაც აღფრთოვანებდა სოციალისტური მშენებლობის პათოსი, შესაფერი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურაში.

თქვენი გამჭრიახი, მითითებების საფუძველზე, დიდო და ძვირფასო სტალინ, ჩვენ ვისწავლეთ ჩახრუხაძის, რუსთაველის, შავთელის და საქართველოს მე-11—13 საუკუნეების სიტყვიერი პლასტიკის სხვა ოსტატების დიდი კულტურული ლიტერატული მემკვიდრეობის გაგება და მისი გამოხატვა სოციალისტური შეგნების პრიზმაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს, თქვენი პირადი მითითების საფუძველზე, შეგნებული აქვთ „სულის ინჟინერიის“ მთელი მნიშვნელობა და აღფრთოვანებული არიან ამ შეგნების პათოსით.

ასეთია საქართველოს კულტურული სახე და ასე განიცდის მას საქართველოს კულტურის მუშაკთა არმია. ბევრი რამ გაკეთდა თქვენი დახმარებით, მშრომელთა ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, დანარჩენი გაკეთდება თქვენივე დახმარებით, მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიანი მშენებლობა უზრუნველყოფილი იქნება როგორც გარეშე, ისე შინაური მტრის შემოტევისაგან.

კლასობრივი მტრის აგენტების და მისი ზინოვიევ - ტროცკისტული ნაძირალების მუხანათური გასროლა, რომლის მსხვერპლიც გახდა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ესოდენ ახლობელი და ძვირფასი სერგეი კიროვი, წარმოადგენს იმის ნიშანს, რომ მტერს არ სძინავს და ელის მოხერხებულ შემთხვევას იერიშის მოსატანად. ამიტომაა, რომ მიმალული მტრის ასეთი გამოსვლები ვერ ასუსტებენ ჩვენს რიგებს, არამედ კიდევ უფრო ამჭიდროებენ მათ თქვენს გარშემო, დიდო ბელადო: ერთ მთლიან კედლად, რომელიც შედუღაბებულია მზადყოფნით — უპასუხოს დარტყმას დარტყმით.

და თუ, მსოფლიო კლასობრივი ბრძოლების დიდო სარდალო, სოციალიზმის გამარჯვების, შრომის და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმისათვის საჭირო იქნება არა მარტო ჩვენი მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება და ლიტერატურა, არამედ ჩვენი სიცოცხლეც, ჩვენ ჩვენი ძვლებიდან ავაგებთ კვარცხლბეკს, რომელზედაც აღიმართება ლენინსტალინის საქმის გამარჯვების მონუმენტი.

გაუმარჯოს საბჭოების დიად და უძლეველ ქვეყანას!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას და დიდ სტალინს!

ხელს აწერენ:

სამეცნიერო მუშაკები:

პროფ. თვალჭრელიძე, პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ა. ჯავახიშვილი, პროფ. შანიძე, პროფ. გ. გედევანიშვილი, პროფ. ა. ხარაძე, პროფ. მოსეშვილი, პროფ. ზავრიევი, პროფ. ა. დიდებულიძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ლ. გოკიელი, პროფ. რ. ნიკოლაძე, პროფ. ვ ბერიძე, პროფ. კ. მეგრელიძე, პროფ. თავზარაშვილი, პროფ. აკინფიევი, პროფ. ნ. გვარამაძე, პროფ. მოსე გოგიბერიძე, პროფ. პოლიევქტოვი, პროფ. ვ. ვაშაყმაძე, პროფ. შარია, პროფ. ჩიქობავა, პროფ. კ. გაბუნია, პროფ. ი. სურგულაძე, პროფ. კ. ბაქრაძე, პროფ. ა. ბულისაშვილი, დოცენტი ვართაპეტოვი, პროფ. დ. გედევანიშვილი, პროფ. ფარცხვანიძე, პროფ. ლ. კალანდაძე, პროფ. ცაგარელი, პროფ. კ. მოდებაძე, პროფ. დ. იაშვილი, დოცენტი ბარამიძე, დოცენტი ი. ქურდიანი, დოცენტი ლუნიაკინი, პროფ. ნ. ციციშვილი, დოცენტი ტ. ვეფხვაძე, დოცენტი მ. ნოდია, დოცენტი ყავრიშვილი, დოცენტი აბესაძე, დოცენტი გ. დევდარიანი, დოცენტი გ. ფხაკაძე, ნ. ხომეზური, ა. ბუაჩიძე, ვ. კანდელაკი, კ. ცხაკაია, ნ. ჯაფარიძე, ა. კიზირია, ვ. უზნაძე, შ ცოტაძე, გ. რამიშვილი, ვაჩეიშვილი, შ. სანიკიძე, შ. სიხარულიძე, დოც. ვ. ხოფერია.

არტისტები, რეჟისორები:

სახალხო არტისტი სანდრო ახმეტელი, სახ. არტისტი ა. ვასაძე, სახ. არტისტი ა. ხორავა, დამსახურებული არტისტი თამარ წულუკიძე, დამს. არტისტი სანდრო ინაშვილი, დამს. არტისტი ჯავახიშვილი, რუსთაველის სახელობის თეატრის არტისტები: დ. მჟავია, ბ. შავიშვილი, ვ ლაღიძე, ნ. ჩიგოგიძე, შ. ასლანიშვილი, ე. ლორთქიფანიძე, რეჟისორები: ა. ფალავა, ვ. ქუშიტაშვილი, კ. პატარიძე, კინო-რეჟისორები: ი. პერესტიანი, ტ. მაკაროვი, ს. დოლიძე, შ. ბერიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ტუსკია, კომპოზიტორი გ. კილაძე, კინო-ოპერატორები: დიღმელოვი, პოლიკევიჩი.

მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები:

ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, ა. აბაშელი, რ. გვეტაძე, ა. ქუთათელი, გიორგი ლეონიძე, ბესო ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე, დ. დემეტრაძე.

მხატვრები:

შრომის გმირი, პროფ. მოსე თოიძე, პროფ. ლადო გუდიაშვილი, პროფ. დ. კაკაბაძე, მხატვრები: ა. ციმაკურიძე, ახვლედიანი, კ. სანაძე, კოპალეიშვილი, გძელიშვილი, მაისაშვილი, ვ. კეშელავა, ვ. ლემონჯავა.

მოქანდაკეები:

სახალხო მოქანდაკე—პროფესორი ი. ნიკოლაძე, მოქანდაკეები: ნ. კანდელაკი, ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი, რ. ამიროვი, შ. მიქატაძე, მ თალაკვაძე, რ. თავაძე.

ინჟინრები და არქიტექტორები:

პროფ. ჯორჯაძე, არქიტექტორი—პროფესორი ი. ყირძესალი, არქიტექტორი, ლ. ჯანელიძე, ინჟინერი გ. ქურდიანი, ინჟ. კორინთელი, ინჟ. მამალაძე, არქიტექტორი ა. ქურდიანი, ინჟ. თევზაძე, არქიტექტორი ზ. ქურდიანი, ინჟინერი ვაშკელევიჩი, ინჟინერი სისოევი, ინჟ. კ. რუხაძე, ინჟ. დიასამიძე, ინჟ. ვასილიტა ფანცხავა, არქიტექტორი ივანოვი, კ. სოკოლოვა, თოფაძე, ინჟ. კ. ტაბატაძე, არქიტექტორი ცაგარელი, ვ. გაბაშვილი, ტ. ბეიერი, არქიტექტორი მ. შავიშვილი.

მედიცინის დოქტორები:

პროფ. მაჭავარიანი, პროფ. ალადაშვილი, პროფ. ლამბარაშვილი, პროფ. ნათიშვილი, პროფ. თიკანაძე, პროფ. ს. ამირაჯიბი, პროფ. ს. ყიფშიძე, პროფ. მ. უგრელიძე, პროფ. შ. მიქელაძე, პროფ. ვ. ჟღენტი, პროფ. წინამძღვარიშვილი, პროფ. ქუთათელაძე, დოცენტი ნ. ყიფშიძე, დოც. ქოჩიაშვილი, დოც. მჭავანაძე, დოც. ნანეიშვილი, პროფ. ვაწაძე, დოც. კ. ცომაია, დოც. ცხაკაია, პროფ. საყვარელიძე, დოც. ე. ზაქარაია, პ. ბუაჩიძე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის საბჭოების ყრილობას

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას

საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის სარდლობა და პოლიტსამმართველო მხურვალე სალამს უთვლის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების ყრილობას.

ყრილობა აჯამებს უდიდეს გამარჯვებათა შედეგებს, რომლებსაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია რევოლუციის, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

წლითი - წლობით იზრდება და მტკიცდება საქართველოს აეროფიკაცია. ამ ზრდის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს გაზეთ „კომუნისტის“ ესკადრილიის შექმნა, რომელიც აგებულია გაზეთის მშრომელ მკითხველთა სახსრებით შემდეგი ლოზუნგით: „საქართველოს მშრომელებს უნდა ექნეთ თავისი ცენტრალური გაზეთი გამოსვლის დღეს“.

ესკადრილიის პირველი რგოლი უკვე მზადაა და მოსკოვიდან გამოფრინდება საქართველოში. ეს გამარჯვებები საბჭოთა საქართველოს მშრომელების მიერ მიღწეულია ლენინური კომუნისტური პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!

გავაძლიეროთ საქართველოს სოციალისტური აეროფიკაციის ტემპები!

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსი
უნშლიხტი.

პოლიტსამმართველოს უფროსი დოცენკო.

ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

ამიერ - კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატებისათვის მანდატების მიცემა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ცაკის შენობაში (ჩიტაძის ქუჩა, № 2, ა-კ. სახკომსაბჭოს სახლი, მე-2 სართული) 14 იანვარს შუადღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე და 15 იანვარს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

16, 17 და ყრილობის დანარჩენ დღეებში მანდატების გაცემას აწარმოებს სამანდატო კომისიის მორიგე მუშაკი იმავე შენობაში.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით: №№ 3—55—26, 3—62—23, 3 — 66 — 65, 3—65—27, 3—23—10.

ორგკომისია.

საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

საბჭოთა კინემატოგრაფიის 15 წლისთავთან დაკავშირებით ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

I

განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა კინემატოგრაფიის შექმნისა და განვითარების დარგში:

1. დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით ლენინგრადის ფაბრიკა „ლენფილმი“ თავისი იდეურ-მხატვრული და ტექნიკური ღირსებით შესანიშნავი კინოფილმების გამოშვებისათვის

2. დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით.

1) **ბ. ზ. შუმიაცკი** — ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინო-ფოტომრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი, 2) **ა. ი. გრუზი**—ფოტო-ქიმიური ტრესტის მმართველი, 3) **პ. ტაგერი**—კინოფოტომრეწველობის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის ინჟინერი - კონსტრუქტორი, 4) **ვ. ი. პუდოვკინი**—რეჟისორი, 5) **ფ. მ. ერმლერი**—რეჟისორი, 6) **გ. ნ. ვასილიევი**—რეჟისორი, 7) **ს. დ. ვასილიევი**—რეჟისორი, 8) **ა. პ. დოვჟენკო**—რეჟისორი, 9) **მ. ჭიაურელი**—რეჟისორი, 10) **გ. მ. კოზინცევი**—რეჟისორი, 11) **ლ. ა. ტრაუბერგი**—რეჟისორი.

3. დაჯილდოებულ იქნან შრომის წითელი დროშის ორდენით:

1) **ტროფიმოვი** — ოპტიკურ-მექანიკური მრეწველობის საკავშირო გაერთიანების დირექტორი, 2) **ი. ე. ჩუეინი**—ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინო-მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე, 3) **ვ. ფ. პლეტნევი** —კინო-ფოტო-მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე, 4) **კ. ი. იუკოვი**—კინო-ფოტო-მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის თანაშემწე სამხატვრო ნაწილში, 5) **დ. მ. დზნუნი** — სომხეთის კინო-მრეწველობის კინოფილმების წარმოება-გაქირავების ტრესტის მმართველი, 6) **უვაროვი**—ოპტიკურ - მექანიკური მრეწველობის საკავშირო გაერთიანების დირექტორის მოადგილე, 7) **ვ. ს. იოხელევიჩი** — „სოიუზტრონიკის“ ტრესტის მმართველი, 8) **ა. მ. გალკინი**—„ბელგოსკინოს“ მმართველი, 9) **ლ. გ. კაცენელსონი**—კინო-ფაბრიკა „ლენფილმის“ დირექტორი, 10) **კ. ე. ჩიბისოვი**—ქიმიის პროფესორი, კინო-ფოტო-მრეწველობის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 11) **ე. ოლდოვსკი** — კინოფოტომრეწველობის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის პროფესორი - კონსტრუქტორი. 12) **ცაპკინი**—კინო აპარატურის ინჟინერი, 13) **ა. ფ. კორიტინი**—ოფსკის ფაბრიკა № 6-ის მუშა, 14) **კ. მ. შვედჩიკოვი**—„სოვკინოს“ ყოფილი ორგანიზატორი და მისი გამგეობის თავმჯდომარე.

4. დაჯილდოვებულ იქნან **წითელი ვარსკვლავის ორდენით:**

1) **დ. ა. ვერტოვი** — რეჟისორი, 2) **ა. კ. კავალერიძე**—რეჟისორი, 3) **ა. ი. ბეკ-ნაზაროვი** — რეჟისორი, 4) **ი. მ. ბლიხი**—რეჟისორი, 5) **გ. ბ. ალექსანდროვი**—რეჟისორი.

II

მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი შუამდგომლობის თანახმად:

1. მიეკუთვნოს **სახალხო არტისტის სახელწოდება:**

1) **ვ. რ. გარდინს** — მსახიობს, 2) **გ. ა. ბაბოჩკინს**—მსახიობს.

2. მიეკუთვნოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება:

1) **ნ. ა. ზარხის**—კინოს დრამატურგს, 2) **ს. მ. ეიზენშტეინს** — რეჟისორს, 3) **ე. კ. ტისეს**—ოპერატორს, 4) **ლ. ვ. კულეშოვს**—რეჟისორს, 5) **ო. ი. პრეობრაჟენსკაიას**,—რეჟისორს, 6) **ი. ა. პროტოზანოვს** —რეჟისორს, 7) **გ. ლ. როშალს**—რეჟისორს, 8) **ი. ვ. ტარიჩს**—რეჟისორს, 9) **ნ. ს. შენგელაიას** — რეჟისორს, 10) **ს. ი. იუტკევიჩს**—რეჟისორს, 11) **ა. გ. გოლოვნიას** —ოპერატორს, 12) **ა. ნ. მოსკვინს**—ოპერატორს, 13) **ა. ბ. პიოტროვსკის** — სამხატვრო ხელმძღვანელს, 14) **ე. ე. ენეის** — მხატვარს, 15) **ი. პოსიალსკის**—ქრონიკის რეჟისორს, 16) **მ. კაუფმანს** — ქრონიკის რეჟისორს.

3. მიეკუთვნოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება:

1) **ვ. მ. პეტროვს**—რეჟისორს, 2) **ა. ლ. პტუშკოს** — მულტიპლიკატორ-რეჟისორს, 3) **ე. ი. შუბს**—რეჟისორს, 4) **ბ. ვ. ბარნეტს** —მსახიობს, 5) **ბ. ბლინოვს**—მსახიობს, 6) **ნ. ნ. ვაჩნაძეს**—მსახიობს, 7) **ა. ი. ვოიცეკს** —მსახიობს, 8) **ტ. ი. გურეცკაიას**—მსახიობს, 9) **ე. ა. ეგოროვას**—მსახიობს, 10) **ს. კ. კომაროვს**—მსახიობს, 11) **ე. ნ. კუზმინას** — მსახიობს, 12) **ა. ა. კოსტრიჩკინს** — მსახიობს, 13) **ლ. კმიტს** — მსახიობს, 14) **ს. ზ. მაგარილს** — მსახიობს, 15) **ვ. ნ. მიასნიკოვას**—მსახიობს, 16) **კ. მუხუდტინოვს**—მსახიობს, 17) **ლ. ფ. ორლოვას**—მსახიობს, 18) **ბ. დ. პოსლავსკის**—მსახიობს, 19) **ნ. ა. როგოჟინს**—მსახიობს, 20) **ი. ი. სოლნცევას**—მსახიობს, 21) **ვ. ე. სერგეევას**—მსახიობს, 22) **ა. ს. ხოხლოვას**—მსახიობს, 23) **მ. ვ. ცესარსკაიას**—მსახიობს, 24) **ი. პ. ჩუველევს** — მსახიობს, 25) **ზ. ტ. ჩირკოვს**—მსახიობს, 26) **ს. ი. შკურატს**—მსახიობს.

III

დაჯილდოვებულ იქნან ს.ს.რ. კავშირის ცაკის სიგელით:

1) **მ. ს. შოსტაკი**—კინოფაბრიკა „ლენფილმის“ დირექტორის მოადგილე, 2) **მ. პ. შნეიდერმანი** — კინოფაბრიკა „ლენფილმის“ ყოფილი დირექტორი, 3) **მ. ი. მაშინკინი**—„ლენფილმის“ საკონსტრუქტორო ლაბორატორიის პროფესორი - ხელმძღვანელი, 4) **ი. ი. ნიკიტინი**—„უკრფილმის“ ტრესტის ინჟინერი - კონსტრუქტორი, 5) **ა. პ. შტერენბერგი** — ფოტოგრაფი-მხატვარი, 6) **ა. დ. გრინბერგი**—ფოტოგრაფი-მხატვარი.

V

წელთა დამსახურებისათვის დაენიშნოს პერსონალური პენსია:

1) **პერესტიანს** — რეჟისორს, 2) **ხობენსკის**—რეჟისორს, 3) **სოკოლოვს**-დირიჟორს, 4) **ბერეზოვსკის**—დირიჟორს, 5) **ლევიტანს** —მსახიობს, 6) **ზაბოლოცკის**—ფაბრიკა „ლენფილმის“ მუშას, 7) **ხონჟონკოვს** — კინოს მოღვაწეს.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1935 წ. 11 იანვარი.

მაქსიმ გორკის მისალმება

მხურვალედ გილოცავთ საუცხოო გამარჯვებებს. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგში უფრო და უფრო მეტი წარმატებით განვითარდება თქვენი მუშაობა. მისი კულტურული მნიშვნელობა ისეთ ნიმუშებში, როგორიცაა „ჰექა-ქუხილი“, „ფუნიკულ“ „ჩაპაევი“, — უდიდესია.

მაქსიმ გორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობა

კოლხიდის მშენებლობის შესახებ

კოლხიდმშენის უფროსის ამხ. ბ. გოგიას მოხსენება

ამხანაგებო, დღის წესრიგში სდგას საკითხი კოლხეთის მშენებლობის შესახებ. ეს პირველი შემთხვევა არის, როდესაც საქართველოს უზენაესი ორგანო, როგორიცაა საბჭოთა ყრილობა, ამ საკითხს ეცნობა მოხსენების სახით. კოლხეთის მშენებლობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ყურადღება, რომელიც მას ამ უკანასკნელ წლებში აქვს მიქცეული საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და განსაკუთრებით პირადად ამხ. ბერიას მხრით. კოლხეთის ჭაობის ამოშრობის საკითხი მან დააყენა ფართოდ მთელი საქართველოს მშრომელთა წინაშე.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კოლხეთზე. ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი ჩვენამდე მოსული საინტერესო ცნობა ამ საზარელ ჭაობიან ადგილების შესახებ. არსებობს მთელი რიგი გადმოცემანი, რომ კოლხეთს წინათ ეძახდენ იმ ადგილებს, რომელთაც ახლა უჭირავთ მთელი დასავლეთ საქართველო, რომ კოლხეთი ოდესღაც იყო გზა, რომელზედაც გავლით სავაჭროდ მიდიოდენ ბერძნები, რომაელები, სპარსელები და სხ.

ამ გადმოცემებში ნათქვამია, რომ მდ. რიონზე ოდესღაც იყო 120 ხიდი, რომ ასეული მილიონის ღირებულების საქონელი იცვლებოდა ორპირთან. გადმოცემა გვეუბნება, რომ, როდესაც აქ შემოდიოდნენ უცხოეთის ელჩები, მათ უმასპინძლდებოდენ ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ვერ უძლებდენ კოღოებს და უკან მიდიოდენ ამ კუთხის წყევლაკრულვით. ეს ის მხარეა, რომელსაც ჩვენ ვეძახით კოლხეთს.

მთელ ამ ძველ კოლხეთს მთლიანად კი არა აქვს ჭაობის სახე. ეს ტერიტორია, ეგრედ წოდებული კოლხიდის დაბლობი, შეიცავს 217.000 ჰექტარზე მეტ ფართობს, რომელიც იწყება მდ. ნატანებით; შემდეგ მიდის სუფსის, და აქედან რიონის დაბლობი 100.000 ჰექტარის რაოდენობით, ფართობი ხობსა და ინგურს შორის, ინგურსა და კოდორს შორის. ამრიგად, კოლხეთის ჭაობებს უჭირავს დაახლოვებით 217.000 ჰექტარზე მეტი, დაწყებული აჭარისტანიდან ქობულეთის ჭაობებით 8000 ჰექტარზე და დათავრებული მდ. კოდორით აფხაზეთში.

აი, ეს ვეებერთელა ტერიტორია, თითქმის ნახევრად წარმოადგენს გაუვალ ჭაობებს, რომელიც მოქცეულია ამ მდინარეებსა და ზღვას შორის რიონის მარჯვნივ და მარცხნივ.

ამხანაგებო! მელიორაციის შესახებ სწერდა ა.-კ. კომუნისტებს ჩვენი უდიდესი ბელადი ამხ. ლენინი, რომ ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღებაო. ლენინმა ჩვენ მიგვითითა, რომ მორწყვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, მისი აღორძინებისა და აყვავებისათვის.

მეფის მთავრობის დროს ამ საქმეს ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, ხელსაც უშლიდენ. მენშევიკებზე ზედმეტია ლაპარაკი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენ დავიწყეთ მთელი რიგი მშენებლობა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

მთავრობის ანგარიშში აქ ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მოვაწყვეთ ალაზნის და ტირიფონის ველის მორწყვა, რომ დიდიხანია სხვადასხვა ორგანოებში ირჩევა სამგორის ველის მორწყვის პროექტი.

მაგრამ მათზე უფრო მნიშვნელოვანია კოლხეთის ამოშრობის სამუშაოები. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების ათვისებისათვის. კოლხეთმშენი პარალელურად წყვეტს მოსახლეობის გაჯანსაღების საკითხს. აქ გავრცელებულია მალარია. ამ სენით ყველაზე უფრო „განთქმულია" ფოთის რაიონი. ამ მხრივ ეს ყველაზე საზიზღარი რაიონი იყო, ყველას ეშინოდა ამ რაიონში წასვლა, რადგან იქ ყველაზე უფრო ჭაობიანი ადგილები იყო.

და მხოლოდ ბოლშევიკებმა დააყენეს ამ ჭაობების ამოშრობის საკითხი რეალურად.

ყველამ იცის ის მძიმე პირობები, რომელსაც განიცდიდა ფოთი და მისი რაიონი. ქალაქის გარშემო და ქალაქშიც ჭაობში იხრჩობოდა მოსახლეობა. და ამ რაიონების განვითარება შეუძლებელი იყო სხვა გზით, თუ არა სწორედ ასეთი მუშაობის დაწყებით. არავითარი სხვა პერსპექტივა მათ არ ქონდათ.

კოლხიდის პრობლემასთან დაკავშირებით, წყალდიდობისაგან დაცვის საკითხი ქ. ფოთის აღმასკომმა დააყენა სათანადო ორგანოების წინაშე.

ამ მიზნით მუშაობა დაიწყო 1925 წელს. ქალაქს შემოავლეს დამბები 5 კილომეტრის მანძილზე. ამის შემდეგ ქალაქს წყალდიდობა აღარ უნახავს.

წინათ წყალდიდობა იწყებოდა რიონის და შემდეგ პალიასტომის ტბის ადიდებით, ივსებოდა პატარა მდინარე კაპარჭა, ვერ ასწრებდა ზღვაში შესვლას და გადადიოდა ქალაქში, რომელიც იფარებოდა წყლით. ამას დიდი ზიანი მოქონდა არა მარტო ფოთის მშრომელი მოსახლეობისათვის. ვის არ ახსოვს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა აბაშის, სენაკის, ლანჩხუთის რაიონები, როდესაც მდინარე რიონი და სხვა მდინარეები ადიდდებოდენ, გადადიოდენ ნაპირებზე და ფარავდენ ვეებერთელა ტერიტორიას, სადაც ითესება სიმინდი. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეგზავნა რკინის გზით ფელუგები, რომ გადაგვერჩინა მოსახლეობა. აი ასეთი იყო მდგომარეობა. ცხადია, დიდი მუშაობა უნდა დაწყებულიყო.

კოლხეთის მშენებლობა დაიწყო 1925 წელს. დაცულ იქნა ქ. ფოთი და დაიწყო რიონის დამბის შემოვლების სამუშაოები. მაგრამ, რადგანაც მაშინ დამუშავებული პროექტი არ იყო, ჯერ კიდევ კარგად არ იყო შესწავლილი მთელი ეს მდებარეობა, ამიტომ 1928 წელს მშენებლობა შეჩერდა.

ამის შემდეგ ჩვენ დაგვევალა მოკლე დროში გამოგვერკვია ჭაობების მიზეზები, შეგვესწავლა მდებარეობა და შეგვედგინა მშენებლობის ტექნიკური პროექტი.

გერმანელმა პროფესორ ლუდინმა დაათვალიერა ეს სამუშაოები და აღნიშნა, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამორკვევას, თუ რა არის ამ ჭაობის გაჩენის მიზეზი. ჩვენ გვაფიქრებდა ის მდგომარეობა, რომ ჭაობებით დაფარული იყო ამ ვეებერთელა ტერიტორიის დიდი ფართობი. ამ 217000 ჰექტარიდან შეიძლება ითქვას, რომ 90 ათას ჰექტარამდე ჭაობია. მაგრამ ისიც გამოირკვა, რომ აქ მიწის ქვეშა წყალი სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს დაჭაობებაში. ამის მთავარი მიზეზი, როგორც ეს გამოირკვა კვლევითი სამუშაოების დროს, იყო ნაპირებიდან მდინარეთა გადასვლა და დიდი წვიმები, რომელიც ამ რაიონში მოდის.

მას შემდეგ, რაც ეს მდგომარეობა გამოირკვა, შედგენილ იქნა პროექტი. ცნობილ იქნა, რომ იმ რაიონების ჭაობების ამოშრობა, რომელთა ადგილმდებარეობა ზღვის დონიდან ორ მეტრზე მაღალია, შესაძლებელია მარტო ღია არხების საშუალებით. არხების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მთელი წყალი, რომელიც ამ ფართობზე დგება, გავიყვანოთ ზღვაში.

მეორე საშუალებად ცნობილ იქნა მდინარეების გამაგრება, რომ ისინი არ გადმოვიდენ ნაპირებზე. მესამე საშუალება — იმ ადგილებში, სადაც მდებარეობა ხელს არ გვიწყობს საქაჩავების დადგმაა. ასეთი ფართობი არ აღემატება 8—9 ათას ჰექტარს. მაშასადამე, ასეთ ფართობებზე საჭირო იქნება ვიმუშაოთ საქაჩავების საშუალებით, მათი სადგურების მოწყობის გზით.

არის კიდევ ერთი საშუალება, ეს — ეგრეთწოდებული კოლმატაციის გზით ფართობის ამაღლება. როგორც ვიცით რიონს მოაქვს დიდი რაოდენობის და საუკეთესო თვისების და ხარისხის მიწა, რომლითაც სხვადასხვა რაიონებში სარგებლობენ ნიადაგის გასანაყოფიერებლად. ეს მიწა მეტად მდიდარია თავისი მინერალური შემადგენლობით მღვრიე წყალი გადადის ჭაობში არხების საშუალებით და იქ რჩება. ამგვარად მღვრიე წყალი იწრიტება და ჩვენ ვღებულობთ ამაღლებულ ადგილმდებარეობას. ამ საშუალებით დაახლოებით დასაშრობია 15 ათას ჰექტარამდე ერთ ნაკვეთზე, რომელიც პირდაპირ ეკვრის ქალაქ ფოთს (3 ათას ჰექტარი), ამ საშუალებით ახლა ტარდება მუშაობა და ეს ფართობი ამოშრობილ იქნება 2-3 წელში.

ამგვარად, ყველა ამ საშუალებათა გათვალისწინების საფუძველზე პროექტი დამტკიცებულ იქნა. მიღებულ იქნა მისი შეფასება უცხო კონსულტანტების მხრითაც, რომელიც მოითხოვა ამხ. ორჯონიკიძემ პროექტის გარჩევის დროს.

ამგვარად, 1930 წ. ჩვენ მივიღეთ საკავშირო მთავრობის ნებართვა მუშაობის განახლების შესახებ. მშენებლობა დაიწყო ყველაზე ძნელ ფართობზე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოში—ჭალადიდის აგარაკში. ეს სატყეო აგარაკია, რომლის ფართობი (მდ რიონს და ხობს შუა) 18 ათას ჰექტარს შეადგენს.

ეს მუშაობა დავიწყეთ 1930 წელს; 1931 წელს მუშაობა დაწყებულ იქნა მეორე მასივზე — ცივატეხურზე. მაგრამ 30—31 წლებში, რადგან არა რეალური გეგმა იყო დასახული, ამ საქმეშიც, როგორც სხვა საკითხებში, ჩვენ გვქონდა უხეში შეცდომები. ეს შეცდომები გამოსწორდა, როცა 1931 წელს ჩვენ მივიღეთ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება.

აი, სწორედ ამ დადგენილების რეალიზაციისათვის, 1932 წელს ამხ. ბერიამ ეს საკითხი ფართოდ დააყენა საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რომელმაც მიიღო შესაფერი დადგენილება.

ამხ. ლავრენტიმ ეს საკითხი დააყენა აგრეთვე საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროში, რომელმაც სპეციალური დავალებანი მისცა საკავშირო მიწსახკომს.

რომელმაც 1931 წელს შექმნა სპეციალური ორგანიზაცია — კოლხეთმშენის სახით. მიწსახკომს დაევალა გაეძლიერებია მუშაობა, გაეწია დახმარება მშენებლობისათვის და გაეტარებია სამუშაოთა მექანიზაცია. 1930-31 წელს მუშაობა წარმოებდა კუსტარულად, მხოლოდ ხელით. ხელით მუშაობა კი აქ წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს. შეუძლებელია ამ სამუშაოს ხელით შესრულება. და მართლაც, 1930-31 წელს გეგმები არ სრულდებოდა და თანხები პირდაპირ დანიშნულებას არ ხმარდებოდა. ამის მიზეზი არა მარტო სამუშაოთა ცუდ ორგანიზაციაში მდგომარეობდა, არამედ იმაშიც, რომ არ იყო გატარებული სამუშაოთა მექანიზაცია. ასე იყო 1932 წლამდე.

1932 წლიდან გავატარეთ ნაწილობრივი მექანიზაცია. თუ 1931 წელს შესრულდა 55 ათასი კუბ მეტრი მიწის სამუშაო, 1932 წელს ეს ოდენობა გაიზარდა რვაჯერ. 1933 წელს ორჯერ 1932 წელთან შედარებით, ხოლო 1934 წელს კიდევ ორჯერ 1933 წელთან შედარებით. აი, ასე გაჩაღდა სამუშაოები სათანადო ორგანიზაციების დახმარებით მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად და რეალურად დაისვა საკითხი.

მექანიზაციას მშენებლობაში აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა. თუ ჩვენ ვიანგარიშებთ ძალოვნებას, რომელიც გვაქვს მექანიზაციის სახით და მას გადავიყვანთ მუშა-ხელზე, მივიღებთ — 8000 მუშის ოდენობას. აიღეთ, მაგალითად, მაგისტრალური არხი, რომელიც გაჭრილია 42 კილომეტრის მანძილზე და რომლის სიგანე 24 მეტრს უდრის, ხოლო სიღრმე ორიდან ოთხ მეტრ ნახევრამდეა. ასეთი არხების მშენებლობა ხელით შეუძლებელია, მით უმეტეს ჩვენ პირობებში.

ამხანაგებო! გზები ჩვენ სრულებით არ გვაქვს. და ახლა გადაჭრით ვლაპარაკობ, რომ საჭიროა ამ გზების მშენებლობა. აიღეთ გზა, რომელიც გზათა სამმართველოს გაჰყავს სუფსა-ფოთს შუა. აქ არის ტორფიანი ჭაობების ნაწილი რამოდენიმე კილომეტრზე და იქ გადის გზა. აი, ასეთ სიძნელეებში გვიხდება მუშაობა. ამასთან, მდინარეს თუ დამბა არ ახლავს, ადიდდება და ამ გაკეთებულ გზას წალეკავს. ამიტომ იძულებული ვართ ვაწარმოოთ მუშაობა ხშირად უგზოთ. მაგალითად, უგზოდ ვაკეთებთ არხს და დამბას. და იქიდან ამოღებულ მიწას ვიყენებთ გზისათვის.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობას შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

1933 წელს შესრულდა 1.100.000 კუბ. მეტრის სამუშაო, 1931 წელს — 2.577.000 კუბ. მეტრი. სულ მშენებლობის დაწყებიდან შესრულებულია 5.235.000 კუბმეტრის მიწის სამუშაო. აქედან მექანიზირებულ წესით შესრულდა 2.897 ათასი კუბ მეტრი, ე. ი. საერთოდ შესრულებულ სამუშაოთა 55 პროცენტი. 1934 წელს ჩვენ შევასრულეთ სამუშაოები 1933 წელთან შედარებით ორ ნახევარჯერ მეტად. მაგრამ მიუხედავად ასეთი მიღწევებისა. ჩვენ მაინც ვერ შევძელით 1934 წლის გეგმის შესრულება ეს შესრულება უდრის 95 პროცენტს. შესაძლებელია ზოგიერთმა თქვას, რომ ჩვენს პირობებში ესეც დიდიაო. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს. წელს ეს საკითხი ყრილობაზე სდგას, სადაც ჩვენ უნდა მოვსულიყავით პატაკით გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ. მაგრამ ეს ვერ შევძელით.

1934 წლისათვის ჩვენ გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: 1933 წელს ხელით გამომუშავება უდრის 3 კუბ მეტრს სამუშაო დღეში. 1934 წელს გვაქვს 5 კუბ. მეტრი. არიან ბრიგადები, რომლებიც ასრულებენ 12—15 კუბ. მეტრს, საშუალოდ გამომუშავება 1933 წელთან შედარებით ასეთ სურათს იძლევა. თუ 1933 წელში იყო 5 მან. 75 კაპ., 1934 წელში გვაქვს — 8 მან.

იზრდება კვალიფიციური მუშების რაოდენობა. თუ 1931 წელში იყო 80, 1934 წელს გვყავდა ათასამდე ასეთი მუშა.

იზრდება დაშრობილი ფართობის გამოსავალიც თუ 1932 წელს ჩვენ მივიღეთ სულ 2.900 ჰექტარი, 1933 წელს — 3.700 ჰექტარი, 1934 წელს — 9.752 ჰექტარი. სულ 16.352 ჰექტარი.

დაბანდებათა შესახებ. მე არ შევუდგები ამ საკითხების დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ მოვიყვან აქ შეჯამების ცნობებს თავიდან ბოლომდე. 1931 წლამდე დაბანდების რაოდენობა აღწევს 1.550.000 მანეთს. 1931 წელს 2.762.000 მანეთს, 1932 წელს — 5.940.000 მანეთს, 1933 წელს 7.661.000 მან., 1934 წელს — 15.388.000 მან. სულ — 34 მილიონ მანეთს.

თვითღირებულების შესახებ. თვითღირებულება მთავარი არის მშენებლობისათვის. 1934 წელს ჩვენ კუბომეტრი მიწის ამოღება დაგვიჯდა 2 მან. 93 კაპ. მაგიერ 3 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. მამალაძემ აღნიშნა მალარიით მიყენებული ზარალი. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმ რაიონში, სადაც ჭაობებიანი ადგილია, მალარიის გამო ყოველწლიურად გვაკლდება 4 მილიონი შრომადღე. თუ ჩვენ ამას გადავიყვანთ ფულზე და დღეში ავიღებთ 3 მანეთს მინიმუმს, ეს აღწევს 12 მილიონ მანეთს ყოველწლიურად. დიდი რაოდენობა იმ სამუშაოების, რომელიც ჩვენ შევასრულეთ: 5.235.000 კუბ. მეტრის მიწის ამოღება. ერთი კუბ. მეტრი წონით უდრის ტონა ნახევარს, ე. ი. 90 ფუთს. ამნაირად მივიღებთ 8.700.000 ტონას, ე. ი. 523.000.000 ფუთს და ეს რომ გადავიყვანოთ ურმებზე, მიწის ამოღებას სჭირდება 10 მილიონ ნახევარი ურემი, რომ თითო ურემზე ვიანგარიშოთ 50 ფუთი. ეს რომ ვაგონებში დავტვირთოთ, საჭირო ყოფილა ამ რაოდენობისათვის 523 ათასი ვაგონი. ხოლო ეს ვაგონები რომ შევაერთოთ 2.600 კილომეტრზე გაიჭიმება. შევადაროთ იმ რაოდენობას ის, რაც უნდა შევასრულოთ მომავალში. ჩვენ უნდა ამოვაშროთ 200 ათასი ჰექტარი. ჯერ ამოვაშრეთ მხოლოდ 16 ათასი ჰექტარი. ჩვენ უნდა შევასრულოთ არა ნაკლებ 60 მილიონი კუბ. მეტრი, დღემდე კი შესრულებული გვაქვს 5.235.000 კუბ. მეტრი. აქედან თქვენ ხედავთ, თუ რა დიდი სამუშაო გვრჩება შესასრულებელი მომავლისათვის.

საქართველოში, აფხაზეთის და აჭარისტანის ჩათვლით, ჩვენ გვაქვს სულ 900 ათასზე ცოტა მეტი ჰექტარი სათესი ფართობი დასავლეთ საქართველოში აქედან არის 336 ათასი ჰექტარი. 217 ათასი ჰექტარი დასაშრობი ფართობის 50 პროცენტი სრულიად აუთვისებელი მიწებია. ეს რაოდენობა ახალი მიწებისა მოგვემატება ჩვენ ამ მუშაობის შესრულებით. ჩვენ შესრულებული გვაქვს არხები 1500 კილომეტრის სიგრძით, დამბები გაკეთებული გვაქვს 100 კილომეტრზე.

ახლა მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ უდიდეს პრობლემაზე, რომელიც იჭრება ამ ჭაობიან რაიონში მდ. რიონზე. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელ დასავლეთ საქართველოსა და კავშირისათვის მიღებულ იქნა შარშან საკავშირო მთავრობის მიერ, რომ რიონი იქ კი არ ერთვოდეს ზღვას, სადაც ეხლა ერთვის ქ. ფოთში გავლით, არამედ ის აცილებული იქნეს ქალაქს 12 ნახევარი კილომეტრით მდ. რიონის მაღლა ქალაქიდან. ამ არხს, რომელმაც უნდა მიიღოს რიონი კალაპოტის შეცვლის შემდეგ, ექნება 5 კილომეტრი სიგრძე რიონიდან ზღვამდე. ის უნდა შევიდეს ზღვაში ნაბადაზე გავლით.

მე მოგახსენეთ, თუ რა მდგომარეობას განიცდიდა ფოთი წარსულში წყალდიდობისაგან კი ის ეხლა დაცულია. ეხლა ის მუშაობა, რომელიც იწყება, მთელ რიგ უპირატესობას ანიჭებს ამ რაიონს. იქ სადაც მიწის ქვეშა წყლის მაღალი დონე იყო, რაც არ უნდა ზომები მიგვეღო ჩვენ ამ სამუშაოებს თუ ამგვარად არ ვაწარმოებდით იძულებული ვიქნებოდით ქალაქში გაგვეყოლებია რიონისათვის ორივე მხრით დამბები ამით კი ქალაქს წავართმევდით საუკეთესო ადგილებს. ამ მხრივ ის სამუშაოები, რომლებიც შარშან იქნა დამტკიცებული, 60 მილიონ მანეთში გამოიხატება. ამ მშენებლობისათვის ჩვენ მოცემული გვაქვს დრო ორი წლიწადი საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით.

ყოველივე ამის შედეგად ვღებულობთ ქალაქის სრულ გაჯანსაღებას, მისი მდებარეობის ამაღლებას დაახლოებით ნახევარი მეტრით მაინც. გარდა ამისა რიონის ყოფილი შტო გაღრმავების შემდეგ გამოყენებული იქნება ნავთსადგურისათვის. თავისთავად ცხადია, 60 მილიონი მანეთი იხარჯება უდიდესი საქმისათვის.

რიონის გადაგდების სამუშაოებს ვაწარმოებთ მანქანებით, იქ ხელით ვერაფერს გავაკეთებთ, ახლა ხელით მუშაობაზე გვქონდება 300 კაცი. ჩვენ მივიღეთ მძლავრი მიწისმთხრელი მანქანები საკავშირო მთავრობის დადგენილებით, რომლებიც უკვე მუშაობენ არხის გაყვანაზე. შეიძლება ითქვას დანამდვილებით რომ არხის გაჭრა დანიშნულ დროზე იქნება შესრულებული, იმ მანქანების, საშუალებით რომლებიც ჩვენ გვაქვს და რომლებსაც ჩვენ მორიგებით მივიღებთ შემდეგში.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ გზათა უწყებას არავითარი მოსამზადებელი მუშაობა ხიდის მშენებლობისათვის არ ჩაუტარებია და თუ შესრულების დრო გაგვიგრძელდება, ეს იქნება საგზაო უწყების მიზეზი. მას აქვს ხიდის მშენებლობის პროექტი მაგრამ ეს მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. თუ ხიდი დროზე არ იქნა უამისოდ არხი გვექნება რომელმაც უნდა ჩაიტიოს ადიდებული რიონი. ასე, რომ თუ ეს ხიდი არ იქნა, ისე არ გვექნება საშუალება, რიონი გადავაგდოთ ახალ კალაპოტში. ეს საკითხი უნდა დასვას ეხლავე, რომ საგზაო კომისარიატი არ ჩამორჩეს და ადგილი არ ექნეს თანხების დაბანდება-გაჩერებას.

ეს რიონის მარჯვენა ნაპირის შესახებ ისე როგორც რიონის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ გავჭერით დიდი მაგისტრალური არხი, მარცხენა ნაპირზედაც დავიწყეთ ასეთივე დიდი არხის გაყვანა, რომელსაც სიგრძე უნდა ექნეს 40 კილომეტრი. ეს არხი მდინარე დედაბერასთან იწყება და უახლოვდება თითქმის საჯავახოს. ეს მუშაობა ეხლა დაწყებულია მანქანების საშუალებით. რამოდენიმე მანქანა მუშაობს ამ არხზე. თუ 1934 წელში აღებული ტემპი ჩვენ პირობებში მისაღები იყო, მომავალში ეს უკვე საკმარისი არ იქნება 35 წლისათვის. ჩვენ დასახული გვაქვს 1935 წელს შევასრულოთ მიწის სამუშაოები 3.866.000 კუბომეტრის რაოდენობით.

ამას გარდა ჩვენ ვასრულებთ აგრეთვე სამუშაოებს, რომლებსაც ექნება მნიშვნელობა მომავალში დაშრობილი ადგილების ათვისებისათვის. გვაქვს მოწყობილი კოლხიდმშენის საცდელი სადგური, რომელიც უნდა დაგვეხმაროს სხვადასხვა სამუშაოში. მაგალითად იმ მხრივ თუ როგორი არხები იქნეს გაყვანილი და ამოშრობა რა ნორმით ვაწარმოოთ ცალკე კულტურებისათვის საცდელმა სადგურმა გაშალა ქსელი სხვადასხვა მინდვრებს, სადაც ირკვევა სხვა და სხვა კულტურათა განვითარების პირობები. მთავარი ყურადღება მიქცეულია ჩაის ციტრუსების რამის და სხვა კულტურებზე. სადგურმა მოგვცა საბჭოთა მეურნეებისა და კოლმეურნეობებისათვის რამოდენიმე მილიონი სხვადასხვა ნარგავები. მაგ. მიღებულია რამის 4 მილ. ნერგი, ტექნიკური და სხვადასხვა კულტურების 800.000 ცალი, ევკალიპტის 630.000 ცალი.

ამხანაგ ბერიამ რომელსაც არა ერთხელ დაუთვალიერებია ჩვენი რაიონი სხვათაშორის მიგვითითა ევკალიპტის განვითარების საქმეზე ძალას ენერგიულად მოკიდა ხელი ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ. სანერგეების შექმნის საქმეში ჩვენ უკვე არ ჩამოვრჩებით, ფოთის რაიონი ამ ძვირფას ტექნიკურ კულტურების გაშენებაში უკვე არ ჩამოუვარდება აჭარისტანს და აფხაზეთს. ევკალიპტი არის ძვირფასი კულტურა, მისგან ჩვენ მივიღებთ საუკეთესო ნედლ მასალას, ზეთს. როგორც ამბობენ კოღოებს არ უყვართ ევკალიპტი. ამიტომ ჩვენ უფრო მეტად მოვაშენებთ ამ ძვირფას კულტურას. ევკალიპტი ხელს უწყობს ნიადაგის ამოშრობასაც.

ამხანაგებო ჩვენ მეურნეობას 1934 წელს ქონდა ციტრუსოვანთა ნარგავები 600 ათასი ძირის რაოდენობით აქედან საიმპორტო 100 ათასი. ეთეროვანი ხე 80 ათასი, დამყნილი ციტრუსოვანი (ლიმონი მანდარინა) 300 ათასი. მომზადებულია დასამყნელი მასალა 1935 წლისათვის ერთი მილიონი ცალი.

აი ამხანაგებო ის მუშაობა, რომელიც საცდელ სადგურს აქვს ჩატარებული და რომელიც ხელს უწყობს ამ კულტურების განვითარებას მომავალში. მან თავისი გამოცდილება უნდა გადასცეს საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს უფრო ახლო მივიდეს მასებთან და ჩაატაროს ის სამუშაოები, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალში დაშრობილი ფართობების ნაყოფიერად ათვისების საქმეს.

ახლა მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ათვისების საქმეზე. პროდუქცია რომელსაც დავასახელებ მე აქ, ახლა შეიძლება ერთგვარ უნდობლობას იწვევდეს. მაგრამ აქ არაფერია გასაკვირი რადგანაც დიდ ფართობიდან დიდ რაოდენობასაც ვღებულობთ. ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის დავალებით ამხ. ლავრენტის მიერ ბელადისათვის მოცემული სიტყვით. მეორე ხუთწლედის ბოლოში ჩვენ საბჭოთა კავშირის მშრომელთ უნდა მივცეთ 500 მილ ცალი სხვადასხვა ციტრუსოვანი. თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში წინასწარ დარაიონებას, რასაც მომავალში სჭირდება მეტი დამუშავება და დაზუსტება თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში რაც იყო მაშინ გამოანგარიშებული ვღებულობთ რომ ფართობის დანაწილებით, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ ამ უდიდესი სამუშაოთა შესრულებით, ციტრუსოვან კულტურებს ეთმობა 36.000 ჰექტარი, თუ ვიანგარიშებთ აქედან, მაშინ ჩვენ მივიღებთ, ამ ფართობზე 1 მილიარდ 800 მილ. ცალ ციტრუსებს, შემდეგ თუ ავიღებთ ფართობს ჩაისათვის 50 ათას ჰექტარზე მივიღებთ 12 მილ. კლგრ. ჩაის. რამს დიდ ფართობს ვუთმობთ. ჩვენ შეგვიძლია იქ მივიღოთ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული 360 ათას ცენტნერის რაოდენობით.

აი ამხანაგებო ის მაშტაბი, ის რაოდენობა, ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ მუშაობას.

მე მინდა გადავიდე ეხლა იმ ფართობის ათვისებაზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ 1935 წლისათვის. აქ არის გამოკრული მასალები, აგერ არის რუქა, რომელიც იძლევა სურათს ასათვისებელი ფართობის რაოდენობის მიხედვით (ხობი, სენაკის, აბაშის, ლანჩხუთის, ოზურგეთის რაიონებში). ეს ფართობები იქნა გადატანილი რუქაზე იმ ამხანაგების მიერ, რომლებსაც დაევალა ეს მუშაობა. ა.-კ. მიწსახკომიდან. ამ ამხანაგებმა შეისწავლეს თუ როგორი მეურნეობა არის იქ, როგორ არის ათვისებული და აი მათ მიერ მოცემული ცნობებით გამოდის, რომ თითქოს ეს ფართობი მთლიანად ათვისებული იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რადგანაც სათანადო მასალები გვაქვს და თქვენ, იმ რაიონებში მომუშავეები კარგად იცნობთ იმ ადგილებს, შეგიძლიათ სთქვათ, რომ ეს არ არის სავსებით სწორი. ჩვენ გვაქვს აუცილებლად ჩამორჩენა ათვისების საქმეში. ის ადგილები, სადაც ჩვენ მუშაობა გვაქვს ჩატარებული, სადაც გვაქვს გაშენებული მიმღები არხები, დამბები, რომლითაც ჩვენ ეს ადგილები უზრუნველვყავით დაჭაობიანებისაგან, სავსებით განვათავისუფლეთ წყალდიდობისაგან, უნდა იქნეს ათვისებული მთლიანად. ისე დატოვება ამ ფართობების და ადგილების, სადაც გაყვანილია 200 მეტრზე არხები, მე მგონია არ იქნება სწორი, ასეთი ფართობების დატოვება საძოვრებად, საბალახოებად შეუძლებელია. ჩვენ ხობის და სენაკის რაიონებში გვაქვს დიდი რაოდენობის ფართობები, ტყეები და სხვადასხვა გამოუყენებელი ადგილები, ასე, რომ ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ამ ფართობების ძვირფასი კულტურებით ათვისება. ამ შემთხვევაში რაიონებში გვაქვს ჩამორჩენა. ჩვენ ვერ ვბედავთ მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. ვილაცისგან მოველით შველას, რეცეპტს, რომლითაც შევძლებთ დავიწყოთ და დავამთავროთ ათვისების საქმე. ეს არ არის სწორი. საჭიროა იმ მაგალითისათვის მიბაძვა, რომელიც მოგვცა ორჯონიკიძის და ხონის რაიონებმა, რომელთა წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ადგილობრივ დაათვალიერეს ამოშრობილი ადგილები და მოისურვეს გამოგვეყო მათთვის ფართობები. თუ კი გურიის, ჩოხატაურის მაღალი ადგილებიდან ჩამოდიან რიონის, ან სუფსის ნაპირებზე, რატომ არ შეიძლება სამეგრელოს მთაგორიან ადგილებიდან ჩამოვიდნენ მეზობელ რაიონებში და დაამუშაონ იქ ამოშრობილი ფართობები.

აბაშის რაიაღმასკომი გვპირდება 700 ჰექტარს ავითვისებთო, მაგრამ ჯერჯერობით ეს დაპირება ქაღალდს არ გასცილებია. სამწუხაროდ, არის ისეთი რაიონები (ცაგერი, ამბროლაური ონი) რომლებიც იწერებიან, ვინაიდან მანდ არის მალარიანი ადგილი ჩვენ ვერ გადმოვსახლდებითო. ეს არაა სწორი ამბროლაურის და ონის რაიონები არიან მცირე მიწიანი რაიონები, თუ წინად ისინი ეძებდენ მიწებს ჩრდილო-კავკასიაში და სოხუმის რაიონში, რატომ არ შეიძლება გადმოსახლდენ კოლხიდის ამოშრობილ ადგილებზე. თუ პირველ წლებში მათი ჩამოსახლება ძნელი იქნება, დასამუშავებლად მაინც ჩამოვიდნენ, ამ შემთხვევაში ამხანაგებო სრულებით გამოუყენებელია საქართველოს და საკავშირო მთავრობის დადგენილება, რომელიც ეხება დაშრობილ ადგილებში გადმოსახლებულთათვის შეღავათების მინიჭებას. სამწუხაროდ ეს დადგენილება არც კი არის გამოქვეყნებული ცენტრალურ და რაიონულ პრესაში.

როგორც მოგახსენეთ მომავალშიაც მძიმე პირობებში მოგვიხდება მუშაობა. მექანიზაცია აუცილებელია. ის უნდა იქნეს განვითარებული მაქსიმალურად, მექანიზაციისათვის კი კადრების შენარჩუნება საჭიროა. მაგრამ არ კმარა მარტო შენარჩუნება, არ კმარა მარტო ჩამოსული ამხანაგები, უნდა შეიქმნას ადგილობრივი კადრები, ამისათვის კი საჭიროა სათანადო პირობები. საჭიროა ცენტრალურ ორგანოების დახმარება.

ამ მუშაობისათვის საჭიროა მობილიზაცია გაუკეთოთ მასებს ყველა რაიონებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და გაუწიონ დახმარე
კოლხიდმშენს, რომ ამ მობილი
ციით გაადვილებული და დაჩქა
ბული იქნეს ტემპები შესრულ
ის სამუშაოები რომელიც დასახ
ლი არის ჩვენს წინაშე. ამ შემთ
ვევაში ცენტრალური ორგანო
ბის დახმარებას დიდი მნიშვნელო
აქვს. პირველ რიგში ჯანმრთელო
ბის დარგმა მომსახურეობა უნ
გაუწიოს ამ მძიმე მშენებლობის
მუშავეებს. თუ ჩვენ ნავთსადგუ
რებს უდიდეს ყურადღებას ვაქცევ
ამ დარგში მომუშავეებსაც არა ნა
ლები ყურადღება უნდა მიექცეთ
ვინაიდან ისინი მოწყვეტილი არი
ყოველგვარ გზას და კულტურუ
ცხოვრებას. ჩვენ აუცილებლად უ
და შევქმნათ კოლხიდმშენის მუშ
თა პირობების გაუმჯობესება.

აგრეთვე საჭიროა საბანკო სი
ტემის დახმარება. ხშირია შემთხ
ვა, როდესაც ჩვენ ვღებულობ
კრედიტებს და მთელი კვარტა
გვიხდება ცდა მივიღოთ ნიშნ
ხშირია შემთხვევა, როდესაც მშ
ნებლობას გახსნილი აქვს რამოდ
ნიმე მილიონის კრედიტი და ნა
ლად კი ვერ იღებს თანხების მ
მუშს აუცილებელი ხარჯებისთვ

კერძოდ რკინის-გზას ჩვენთ
აქვს უდიდესი მნიშვნელობა, არ
შემთხვევა, როდესაც ნავთის,
წილები და ნახშირის მიუღ
ლობით, მანქანა, რომელიც 10
მუშას ცვლის, გაჩერებულია.
[illegible] არაჩვეულებრივი დაგ
რებით, ასეთი [illegible] რკინისგზის
ლგურის მუშაკებმა უნდა გაგვიწ
დახმარება, რომ არ შეეშალოს
მუშაობას ხელი. ეს საჭიროა იმის
ვის, რომ კოლხეთი გადავაქცი
დიდი მოსავლის მომცემ ჯან
ფართობებად.

ვისაც არ უნახავს კოლხეთში
ბები, შეიძლება არ დაიჯეროს
დღეს იქ თავისუფლად შეგვიძლ
გავიაროთ არა მარტო ფეხით,
მედ ავტომობილითაც, შეიძლ
მეც, რომ [illegible] ჩამოს
რომელიმე მხარიდან არ დაშორ
ზით, აი თუნდაც ქალაქის ახალ
ფლის უბანში, სადაც საქონე
კი იხრჩობოდა, დღეს ამოშრობ
და ციტრუსებით ათვისებულია.
აში ჩვენ ვიცით, ტექნიკურად
სავსებით დასაძლევი შეიქნა
თვის, ეს უკვე გამოირკვა, ამას
ვინ უარყოფს, ეს [illegible]
მხოლოდ თუ [illegible] და სე
ლი იქნება თუ მობილიზაციას
კეთებთ ყველა შესაძლებლობას
საქმე აუცილებლად მალე დაგვ
გვირდება გამარჯვებით. ჩვენ ა
ლებლად მივიღებთ შედეგად ამ
ბერთელა ფართობზე ჭაობების
კვიდაციის და მივიღებთ საუკე
ადგილებს, სადაც არა თუ არ
ვებენ ამხანაგები წასვლას -
დადებით, არამედ თავისი სურ
თაც დიდი სიხარულით წავლ

თუ წინად სასაცილოდ არ
ნიდათ ფოთის რაიონში შესაძ
ლი ყოფილიყო კურორტის მშ
ლობა, შეიძლება ეხლა თქვენ
დარწმუნდეთ ჩვენ ფოთთან ახ
უკვე ვაშენებთ კურორტს მალ
ყუბა.

ის ამოცანა. ის პერსპექტივა
დავალება, რომელიც მოცემუ
ჩვენი პარტიის მიერ, რომლის
ხებ სწერდა „პრავდა" თავის
ნავეში, რომ შავი ზღვის ნაპი
მოყოლებული ქობულეთიდან
მამდე უნდა გადავაქციოთ სა
სო რაიონად მთელ საბჭოთა კ
რში. ეს მხარე მართლაც ჩვენ
გადავაქციოთ საბჭოთა ფლორ
მშრომელთა კეთილდღეობის და
ნმრთელობის კერად (ტაში).

მსოფლიო მუშათა კლასის
დისი ბელადის ამხ. სტალინის
თებით და ამხ. ბერიას მტკიც
ლშევიკური ხელმძღვანელობ
კოლხიდა იქნება ამოშრობილი
ათვისებული, საბჭოთა კავშ
მშრომელთა საკეთილდღეოთ (ტ

რესპუბლიკური ჟიური დადგენილება

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 1934 წ. მო
ყობილ სოცშეჯიბრების შედეგების შესა

შეაჯამა რა 1934 წლის აპრილში ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მე
ობის ინიციატივით დაწყებული სოცშეჯიბრების შედეგები, რესპ
კური ჟიური აღნიშნავს:

სოცშეჯიბრებამ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის მნიშვნე
ნად გააუმჯობესა მუშაობის ტემპები, ხელი შეუწყო ჩაის საბჭოთა
ურნეობებში 1934 წლის საწარმოო დავალებების შესრულებას, მე
ობების კეთილმოწყობას, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გა
ბესებას და მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში ხარისხ
ვი მაჩვენებლების ამაღლებას.

არსებული მაჩვენებლების და საპრემიო ფონდების ოდენობის მ
ვით მოწინავე საბჭოთა მეურნეობების დასაჯილდოვებლად — ჟ
დააწესა შემდეგი პრემიები:

პირველი პრემია ერთი ჯილდო, მეორე პრემია 4 ჯილდო, მ
პრემია 3 ჯილდო.

ჟიურიმ დაადგინა:

პირველი პრემია — რესპუბლიკის გარდამავალი დროშა, მ
ქი ავტომობილი და 10 ათასი მანეთი ფულად მიეცეს **ოჩხამ**
ჩაის საბჭოთა მეურნეობას (აქედან მსუბუქი ავტომობილი —
რადად მეურნეობის დირექტორს ამხ. ვ. ბერიძეს).

მეორე პრემია — 6.000 მანეთი თითოეულად მიეცეს **ჩა**
დიდიჭყონის, სალიბაურის, და **ხონის** საბჭოთა მეურნე
ამ თანხიდან ორ-ორი თვის ხელფასი—პირადად ზემოხსენებული მ
ობის დირექტორებს ამხ. მეგრელიშვილს, ცაგარელს, ლორთქიფა
და კიკაჩეიშვილს.

მესამე პრემია — 4000 მანეთის რაოდენობით თითოეულად
ცეს **ნასაკირალის, ნატანების** და **ლესიჭინის** ჩაის საბჭოთა მ
ნეობებს. ამ თანხიდან თითო თვის ხელფასი — პირადად ზემო
ბულ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ამხ. მჭეიძეს, ნებიერიძ
მაღლაკელიძეს.

რესპუბლიკური ჟიური: ნ. კიკნაძე, გ. შენგელია, კილაძე

კამათი ამხ. გერმან მგალობლიშვილის მოხსენების გარშემო

12 იანვრის დილის სხდომა

ამხ. ი. ჟვანია

ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში ბოლშევიკური ოპერატიული ხელმძღვანელობის ნაყოფია. წინად ასე იყო: ერთი რაიონი მიიწევდა წინ მეორე რაიონის ხარჯზე, ახლა ასეთი მდგომარეობა მოსპობილია, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან ერთად სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების პროგრესი თვალსაჩინოა ისეთ მივარდნილ ადგილებშიც, როგორიცაა სვანეთი, სამხრეთ ოსეთი, ფშავ-ხევსურეთი და სხვ., ეს არის საქართველოს და ამიერ-კავკასიის იმ პარტხელმძღვანელობის მუშაობის დამახასიათებელი სტილი, რომელსაც მეთაურობს ამხ. ლ. ბერია.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო დამზადებათა გეგმების შესრულებას და იმ დეფექტებს, რომლებიც ჩვენ ამ საქმეში გვაქვს წინად დამზადების საქმის ადმინისტრატიულ მეთოდებით უდგებოდნენ. ახლა ეს აღმოფხვრილია, მაგრამ მიუხედავად ამისა ნაკლოვანებები მაინც არის. უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მიკრო-რაიონების ჩაუტარებლობის გამო ხშირად რაიონებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა ეძლეოდათ არასწორად, არარეალურად. იყო ისეთი ფაქტი, როდესაც დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონებს აძლევდენ კარტოფილის დამზადების გეგმას.

ეს, სხვათაშორის, იმის შედეგიც არის, რომ ბევრგან რაიაღმასკომის თავმჯდომარეების მოადგილეები დამზადებათა დარგში არ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე, ხშირად მათ არცკი იციან თუ რა გეგმას აძლევს ამა თუ იმ სოფელს რაიმიწგანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვის საქმეში.

ცხადია, ეს იწვევს უგეგმობას და არევდარევას. ეს იწვევს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დავალება ერთ რაიონს ეძლევა გადამეტებული, ხოლო მეორეს შემცირებული რაოდენობით.

ამ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, უნდა მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც დამზადების კომიტეტის რწმუნებულები ადგილებზე მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ და გადაიქციონ ისინი ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელებად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში.

ამხ. ვ. გვარამია

(ტფილისი)

რომ მეცხოველეობის განვითარებაში 1933 წლიდან იწყება ძირეული გარდატეხა, ამის მაჩვენებელია ორიოდე ციფრი, რომელსაც მე აქ მოვიყვან. შენარჩუნებულ იქნა ნამატი 1933 წელს 80.000 სული, 1934 წელს 206 ათასი სული. 1933 წელთან შედარებით კოლმეურნეობებში მოზარდ პირუტყვის სიკვდილიანობა შემცირდა 50 პროცენტით. ჯოგის რაოდენობის მხრივ შედარებით სწრაფ ზრდას იძლევა ღორი, თხა, ცხვარი, ცხენი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი გარდატეხა, რომელიც უზრუნველყოფს მეცხოველეობის უფრო სწრაფი ტემპით აღმავლობას, ჯერ კიდევ არ გვაქვს ძროხების რაოდენობა სტაბილურია. ხოლო კოლმეურნეობებში მუშასაქონლის რიცხვი კლებულობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მუშასაქონლის რემონტს არ ექცევა საჭირო ყურადღება და სახარე ხბოების გამოზრდის გეგმას დღემდე ვერ ასრულებენ მთელი რიგი რაიონები.

ცალკე რაიონებში ჩვენ გვაქვს ისევ მეტად დიდი პროცენტი ახალგაზრდა პირუტყვის დაცემისა. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში 1934 წელს დაიხოცა მთელი მოგებული გოჭების 30 პროც., საგარეჯოში 19 პროც., ოსეთში კი — დაიხოცა 1934 წელს მოგებული ხბოების 20 პროცენტამდე. ნამატის დიდი სიკვდილიანობის მიზეზი მდგომარეობს გაუპიროვნებასა, ცუდად შენახვასა და უხეირო მოვლაში.

ბევრგან არის შემთხვევები, როდესაც სოფლის მეურნეობას გეგმავენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ მეცხოველეობის მოთხოვნილებებს. ასე მოხდა, მაგალითად, შარშან ბორჩალოს რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების თესვა ისე ჩაატარეს, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმე პირობების შექმნა ზოგიერთი სახის პირუტყვის განსავითარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებისაგან განსხვავებით საკვები ბაზის მდგომარეობა უკანასკნელად საგრძნობლად გაუმჯობესებულია. გადაჭარბებით შესრულდა, როგორც თივის დამზადების, ისე კონცენტრიული და უხეში საკვების გამოყოფის დავალებები. შექმნილია 100 ათასამდე ცენტნერი თივის მარაგი ცხვრის საზამთრო სადგომებზე საჭიროებისათვის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს თივა დღემდე არ არის მიზიდული დანიშნულების ადგილზე. ამჟამად კი შირაქისა და ტარიბანის ველებში დიდი თოვლი მოვიდა და იქ უკვე გაძნელებულია პირუტყვის გამოზამთრება საკვების ადგილზე მიუტანლობის გამო.

აქედანაც ჩანს, თუ რა დიდი ყურადღებაა საჭირო მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ყოველგვარი წვრილმანისადმი.

წინად ცხვრის გასარეკი ადგილები საზაფხულო საძოვრებიდან საზამთრო საძოვრებზე მეტის-მეტად შეზღუდული იყო. ცხვარი, რომელიც მომთაბარეობის პერიოდში 400—500 კილომეტრს გადიოდა, გზაზე მოკლებული იყო საბალახოების აუცილებელ მინიმუმს ახლა ეს მდგომარეობაც გამოსწორებულია. საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის საქმე მოწესრიგებულია და შექმნილია ყველა პირობა მეცხვარეობის სწრაფი ტემპებით განვითარებისათვის.

ეხება რა პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების პრაქტიკულ საკითხებს, ამხ. გვარამია გადადის ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესებაზე და ასკვნის: [illegible] დანერგვის მხრივ ჩვენ ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს მინდვრეობაში. მეცხოველეობაში კი ძალზე ჩამორჩენილი ვართ. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეუფლოთ ზოოვეტმინიმუმს და ყოველმხრივ გავადიდოთ პირუტყვის ხარისხი და პროდუქტულობა.

ამხ. შ. ლეჟავა

(ტფილისი)

მე მინდა შევეხო წითელი ჯვრის მუშაობას, სამწუხაროდ ამ საკითხზე არ შეჩერებულა მომხსენებელი. ზოგან წითელ ჯვარს არ უწევენ ანგარიშს. არ [illegible] და არ ეხმარებიან. ზოგიერთ რაიონში კი მაგალითად ზუგდიდში, [illegible], სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები წითელ ჯვარს საჭირო ყურადღებას აქცევენ. იქ ჩვენ გვაქვს მუშაობის მეტად კარგი მაჩვენებლები.

რა გააკეთა წითელმა ჯვარმა საანგარიშო პერიოდში? ტფილისში ჩვენ ავაგეთ ორი სავადმყოფო. ვაშენებთ ერთ სავადმყოფოს გეგმიანად და დაპროექტებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ვასრულებთ საბავშვო სავადმყოფოს მშენებლობა, რომელზედაც დაიხარჯა ნახევარი მილიონი მანეთი. ავაშენეთ პირველხარისხოვანი ჰიგიენის სახლი 720 ათას მანეთის ღირებულების და სხ.

ახლა უნდა შევეხო ტყის მეურნეობის საკითხს. ფაქტია, რომ ჩვენი ძვირფასი ტყეები ჯერ კიდევ უმოწყალოდ იჩეხება. ადიგენში მე ვნახე მდინარეში ჩაყრილი მორები. როდესაც ვიკითხე, თუ რატომ არის ასე წვრილი, მითხრეს წყალი პატარაა დიდი მორები ვერ მოაქვს და ამიტომ ახალგაზრდა ხეებს ჭრიან. აქედან ცხადია თუ ზოგან როგორ ბარბაროსულად უდგებიან ტყის ექსპლოატაციას.

ისეთ ცნობილ კურორტის ირგვლივაც კი, როგორიც არის შოვი, ტყე უმოწყალოდ იჩეხება, აქ ვიღაც სპეკულიანტმა „დამამზადებლის" ნიღაბით, რომელიც შემოსულია სამხრეთ-ოსეთიდან მოსჭრა 60.000 კუბ. მეტრამდე ხე, სჭრიან აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც. ყოველივე ამის შედეგად ტყის მარაგი მცირდება და კურორტს გაჩანაგება მოელის. საჭიროა მთავრობამ ამ საქმეს მიაქციოს სერიოზული ყურადღება და [illegible] ტყით სარგებლობაში შემჩნეული უთავბოლობა.

რაც შეეხება მშენებლობას შოვში, უნდა აღინიშნოს, რომ იქ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მას შემდეგ რაც კურორტი შოვი სააღმშენებლო კომიტეტის მიერ საკურორტო სამმართველოს გადაეცა, იქ თითქმის არაფერი არ აშენებულა. ეს [illegible] საკურორტო სამმართველოს უმოქმედობასა და უინიციატივობას ისეთ დიდ საპასუხისმგებლო საქმეში, როგორიცაა საკავშირო მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობა.

ამხ. პ. წულუკიძე

(ტფილისი)

თუ ჩვენში სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურები წარმატებით ვითარდება და საერთო კულტურული მშენებლობა იზრდება, ამასთან ერთად უმჯობესდება კომუნალური მეურნეობაც. კანალიზაცია უკვე გაყავთ სოხუმში, ბათომში, ქუთაისში, ჭიათურაში და მთელ რიგ სხვა პროვინციალურ ქალაქებში. შენდება სასტუმროები, იზრდება საავტობუსო მოძრაობა და სხვ., უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში შევიდა ათეულობით ახალი წყალსადენები, აბანოები და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროსადგურები.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ წყალსადენის მშენებლობას რაიონული ხელმძღვანელი ორგანიზაციები არ აქცევენ საჭირო ყურადღებას და ეს მაშინ, როდესაც გლეხთა მასები ამ საქმეს დიდი ინტერესით ეკიდებიან ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მთელი რიგი სოფლები ჩვენს დროში ახლაც სასმელად ხმარობენ უვარგის და ჯანმრთელობისათვის მავნე წყალს.

ამავე დროს სუსტად არის გაშლილი კომუნალური მშენებლობა ადგილებზე. ძველი ტიპის ქალაქებში საცხოვრებელი ბინები თავიდანვე ცოტა იყო და ყოველივე ამის გამო ბინის საკითხი იქ თანდათან მწვავე ხასიათს იღებულობს.

ქალაქ ტფილისშიც არ არის მოგვარებული საცხოვრებელი სახლებით ექსპლოატაციის საქმე. სახლების მოვლა-შეკეთებას ან აღდგენას არ ექცევა საჭირო ყურადღება. ეს ხდება იმიტომ, რომ სახლების შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს, საბინაო ქირა დაბალია და შეუძლებელი ხდება საჭიროებისამებრ რემონტის სისტემატიურად ჩატარება.

ყოველივე ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და მიღწეულ იქნას კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის სავსებით ნორმალურ პირობებში ჩაყენება.

ამხ. ბ. არუთინოვი

(ჭიათურა)

გამარჯვებით მოვიდნენ ამ ყრილობაზე ჭიათურის მუშები. გასულ წელს მარგანეცის მრეწველობამ გეგმა ვერ შეასრულა. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 10 ივლისის დადგენილებაში დასახა ის ღონისძიებანი რომელთა გატარებას უნდა უზრუნველეყო ჩარღვევების გამოსწორება. ეს ასეც მოხდა. 1934 წლის გეგმა ჩვენ შევასრულეთ გადაჭარბებით, 850 ათასი ტონის ნაცვლად ჭიათურამ მისცა სახელმწიფოს 914 ათასი ტონა მარგანეცის პროდუქცია. ეს შედეგია მუშაობის გარდატეხის: მოეწყო ტრესტის აპარატი, მაღაროები გამაგრდა კადრებით და გადაყვანილი იქნა სამეურნეო ანგარიშზე, გაძლიერდა სამუშაოთა მექანიზაცია.

1935 წელს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანა დგას. ჩვენ უნდა ამოვიღოთ 1.150 ათასი ტონა მარგანეცი. ამ გეგმის შესრულება მოითხოვს მარგანეცის ამოღების და გადაზიდვის მექანიზაციას და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას.

ჭიათურის მუშების სახელით მე უნდა მოვახსენო ყრილობას, რომ ეს გეგმა ისევე წარმატებით შესრულდება, როგორც შესრულდა 1934 წლის გეგმა.

ამხ. ოლდა მილერ

(ლუქსემბურგი)

ლუქსემბურგის რაიონიდან კოლმეურნეობა „ანფანგის" წევრი ქალი ოლდა მილერი ესალმება ყრილობას და მოუთხრობს იმ წარმატებებს, რომელიც მოიპოვა მისმა კოლმეურნეობამ დაარსების დღიდან.

— 1930 წელს ჩვენს კოლმეურნეობაში — ამბობს ის — 7 წევრი იყო ახლა კოლმეურნეობა ითვლის 535 წევრს. არ არის იქ ისეთი წევრი, რომელიც მტკიცედ, იმედიანად არ იყოს დამდგარი შეძლებული ცხოვრების გზაზე. ჩვენ გავახორციელეთ მოსავალი და აღმოჩნდა, რომ დაახლოებით თვითეულ კოლმეურნემ წელს მიიღო 30 პროცენტით მეტი მოსავალი, ვინემ 1933 წელს.

მოსავლის აღების დაწყებიდან პირველ მცნებად დავისახეთ პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე ჩვილა ვალდებულების პირნათლად შესრულება. და ეს დავალება შევასრულეთ კიდეც ვადამდე გადაჭარბებით.

ჩვენს კოლმეურნეობას დღემდე ვეძახით „ანფანგს", რაც გერმანულად ნიშნავს დასაწყისს, დაწყებას, მაგრამ [illegible] დასაწყისის პერიოდი ჩვენ კარგახანია განვლეთ. სიძნელეები უკან მოვიტოვეთ და მოწინავე კოლმეურნეობა გავხდით.

ამიტომ, როცა ჩვენ კლასობრივ მტრების მიერ მოგზავნილი მკვლელის ხელით ამხ. კიროვის დაღუპვის ამბავი გავიგეთ ჩვენი აღშფოთების და მწუხარების გამოხატვასთან ერთად გადავწყვიტეთ შეგვეცვალა სახელი ჩვენი კოლმეურნეობისათვის და მას ჩვენ ვუწოდეთ სანიმუშო რევოლუციონერის და მებრძოლი ბოლშევიკის ამხ. კიროვის სახელი.

ამ სახელწოდების მიღებასთან დაკავშირებით ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დავძაბოთ მთელი ენერგია და ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, ბოლშევიკურად, კიროვისებურად.

ჩვენი უდიდესი მიღწევა საუკეთესო პასუხია გერმანელ ფაშისტებისადმი. იმ გერმანიის, სადაც თანდათან მატულობს მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი გლეხების დუხჭირი ცხოვრება; ამავე დროს ჩვენი მიღწევა იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რა შეუძლია ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის სწორად, მტკიცედ გატარებას.

— გაუმარჯოს გერმანიის კომპარტიის ბელადს ტელმანს, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ბერიას, გაუმარჯოს დიდ სტალინს (ტაში).

ამხ. თ. ღლონტი

(ტფილისი)

ჩვენი საერთოდ წინსვლის მაჩვენებელი ისიც არის, რომ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა 1934 წლის ყველა გეგმა მთლიანად შეასრულა.

ახლა, როდესაც ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან დაკავშირებით. თანდათან საოცარი სისწრაფით მტკიცდება საბჭოთა მანეთის კურსი, მთელი სიმძიმე მდგომარეობს 1935 წლის ფინანსიურ გეგმების უკლებლივ მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

ამ მიზნით მე მინდა შევეხო სოფლის სინამდვილეში ერთი შეხედვით წვრილმან, მაგრამ არსებითად დიდმნიშვნელოვან საკითხს. ეს არის სოფლის საბჭოების განმტკიცება ფინმუშაკების კვალიფიციური, ჯანსაღი კადრით. დღემდე, როგორც წესი, ფინმომუშავეს ადგილებზე არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას და ეს მაშინ, როდესაც ფინაპარატი სოფლის საბჭოსთან წარმოადგენს სოფლად ფინანსიური გეგმების შესრულების მნიშვნელოვან ფაქტორს. ჩვენ გავაუმჯობესეთ ფინმომუშავეების მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ ეს არ კმარა საჭიროა რაიონულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ფინმუშაკების კადრის შერჩევას და მათი მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას.

არ შეიძლება არ შევეხოთ უგეგმო და უკანონო ხარჯების გაწევას ადგილებზე, რომელსაც მიუხედავად მთავრობის მიერ კატეგორიულად აკრძალვისა, ბევრგან კიდევ აქვს ადგილი. მაგალითად, 1934 წელს უგეგმოთ ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის გარეშე საქართველოში დახარჯულია 12 მილიონ მანეთზე მეტი. ამ მდგომარეობას სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს. რადგანაც მხოლოდ საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებით შეიძლება ფინგეგმების შესრულება და საბჭოთა მანეთის კურსის შემდგომი განმტკიცება.



საზეიმოდ მორთული რუსთაველის თეატრის შენობა, სადაც მიმდინარეობს სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-7 ყრილობა

ამხ. ს. ბუაჩიძე

(წითელი არმია)

სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე საერთო წინსვლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა წითელარმიაში. ქართულმა წითელმა ნაწილებმა პირველი ადგილი დაიჭირეს პოლიტიკურ და საბრძოლო მომზადებაში. ქართული დივიზიები გაიზარდენ კულტურულად. იდეოლოგიურად, წითელარმიელები წარმატებით ეუფლებიან მარქსის-ენგელსის-ლენინის-სტალინის თეორიას. ძველი ყაზარმა თავისი გრძელი, ჭუჭყიანი და შმორიანი ტახტებით, ისტორიას ჩაბარდა, ჩვენი ყაზარმა სრულიად არ გავს ძველს. ახლა ჩვენი წითელი არმიელები საუზმობენ და სადილობენ, ისეთ სუფთა მაგიდებზე, როგორსაც შეხვდებით თქვენ, ამხანაგო დელეგატებო, „ორიანტსა" და სპეცკანტორის სასადილოში.

გაიზარდა მოთხოვნილება უფროსთა შემადგენლობისადმი. ჩვენი ამოცანაა, რომ უფროსთა შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ ჩამორჩებოდეს წითელარმიელებს და წინ უძღოდეს მას საბრძოლო მომზადებაში წარმატებით სრულდება.

აი. მაგალითად ჩვენი ქართული წითელი ლეგიონების საბრძოლო მომზადების ზოგიერთი მაჩვენებელი

სროლაში თოფით ხუთი შესაძლებლობიდან ჩვენ ვასრულებთ 4.8.

ტყვიამფრქვევიდან—5 შესაძლებლობიდან—ხუთს.

რევოლვერიდან ხუთი შესაძლებლობა—ვასრულებთ 5.4, რთული იარაღებიდან 5 შესაძლებლობა ვასრულებთ ხუთს.

გვაქვს ზესაუკეთესო მაჩვენებლები, პოლიტიკურ ტექნიკურ, მომზადებაში, შტაბების მუშაობაში, ფიზკულტურაში და სხვ.

ჩვენთან, ქართულ წითელ ჯარის ნაწილებში ახლახან მოვიდა მწყემსი თარსიმაური, რომელიც ცნობიერების მხრივ, ისეთ დაბალ დონეზე იდგა, რომ ფულსაც ვერ სცნობდა, ახლა იგი სანიმუშოდ მომზადებულია პოლიტიკურად და იძლევა მაღალ მაჩვენებლებს ყველა დარგში. ნაციონალური ოლქების აღორძინების მაჩვენებელია ისიც, რომ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადების ამოცანებს სასახელოდ ართმევენ თავს აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის ესკადრონები და ასეულები.

მაგრამ ჩვენ ეს მიღწევები არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ვინც წინ არ მიდის ის უკან მიდის, ამიტომ კი არ ვყოყოჩობთ მიღწევებით, არამედ მთელ ყურადღებას ვამახვილებთ პოლიტიკურ და საბრძოლო მომზადების კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და გაძლიერებაზე, მარქსიზმ-ლენინიზმის სანიმუშოდ დაუფლებაზე და იმ მაღალი ტექნიკის ათვისებაზე, რომლითაც წითელი არმია შეაიარაღა პროლეტარულმა სახელმწიფომ (ტაში).

ამხ. ი. გვეტაძე

(ვანი)

ამჟამად ჩვენი კოლმეურნეობები ჩქარი ნაბიჯით მიდიან წინ შეძლებულ-კულტურული ცხოვრებისაკენ. წინად თუ კოლმეურნეობებს აკლდათ მანქანა-იარაღები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ახლა ეს დაბრკოლება ძირითადად მოხსნილია. ახლა საჭიროა ღარიბ-საშუალო გლეხებს გავაცნოთ კოლმეურნეობის სამეურნეო მიღწევები, რომ ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე გაძლიერდეს ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ; ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მარტო საბჭოების არჩევნების კამპანიის პერიოდში ვანის რაიონის კოლმეურნეობებს შეემატა 200-ზე მეტი ახალი წევრი.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ვანის რაიონში ძლიერ ჩამორჩენილია კომუნალური მშენებლობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე კაპიტალურ ნაგებობას. თვით რაიონის ცენტრშიც კი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან თითქმის არაფერი გაშენებულა. კომუნალური მეურნეობის კომისარიატმა და სახკომსაბჭომ თუ ამ მხრივ არ მოგვაქცია ყურადღება. კომუნალური მშენებლობა ისეთ რაიონშიც, როგორიც არის ვანი, ვერ წავა სათანადო სისწრაფით.

ახლა არის ისეთი მდგომარეობა, რომ აპარატში სამუშაოდ ახალი მუშაკები ვერ მიგვიღია ბინების უქონლობის მიზეზით. ვაყენებთ რა ამ საკითხს, გთხოვთ ყრილობას მიაქციოთ ყურადღება ახლად ჩამოყალიბებულ რაიონებს და უზრუნველყოს იქ კომუნალური მშენებლობის გაძლიერება.

ყრილობის დღიური

13 იანვრის დილის სხდომა.

ყრილობის 13 იანვრის დილის (მეექვსე) სხდომაზე გრძელდებოდა კამათი კოლხიდმშენის შესახებ ამხ. ბ. გოგიას მოხსენების გარშემო.

ამხ. გეგიამ (სამტრედიის რაიონი) ყრილობას მოუთხრო იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც კოლხიდის ჭაობის ამოშრობას აქვს კერძოდ სამტრედიის რაიონის მშრომელი მოსახლეობისათვის.

ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. მუნიატ-ზადემ თავისი შინაარსიანი სიტყვა მიუძღვნა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დიდ წარმატებებს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში მან ილაპარაკა იმ დიდ მნიშვნელობაზე რომელიც კოლხიდმშენს აქვს საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელებისათვის.

ამხ. ენუქიძემ ყრილობას მოუთხრო ენუქიძის სახ. რაიონის მიღწევებზე საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში და აგრეთვე კოლხიდის დაბლობში რაიონის მშრომელი მოსახლეობის შრომის გამოყენების პერსპექტივებზე.

ამხ. ნადარეიშვილმა (ხონის რაიონი) აღნიშნა რომ ხონის რაიონი პრაქტიკულად უკვე შეუდგა კოლხიდის დაბლობში ნაკვეთების ათვისებას.

ამხ. მ. ფირცხალავამ ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელსაც ხონის რაიონის მშრომელი მოსახლეობა უწევს კოლხიდის მშენებლობას. იმ ცოცხალ ადამიანებზე, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას და ახლა სათავეში უდგანან ამ დიდ საქმეს.

ამხ. ფირცხალავას გამოსვლით დამთავრდა კამათი ამხ. გოგიას მოხსენების გარშემო.

თავის დასკვნით სიტყვაში ამხ. გოგიამ ხაზი გაუსვა იმ დიდ აქტივობას და ინტერესს რომელიც ყრილობის დელეგატებმა გამოიჩინეს კოლხიდის მშენებლობის საკითხის განხილვის დროს.

— ეს დიდი ყურადღება და მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც ჩვენს მიმართ ახორციელებს სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხ. ბერია წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ კოლხიდის მშენებლობის დიდი საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება.

კოლხიდის პრობლემა ჩვენს წინაშე დააყენა ამხ. სტალინმა მან მიგვითითა იმ უდიდეს რეზერვებზე, რომელიც კოლხიდის დაბლობის სახით იყო ცნობილი მან გვიჩვენა ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების ეს უდიდესი წყარო ამხ. სტალინის დიდი ყურადღება ამ საქმისადმი წარმოადგენს ჩვენი გამარჯვების საუკეთესო საწინდარს.

ჩვენ შევძლებთ ამხ. სტალინის ამ დიდი ნდობის და ყურადღების ბოლშევიკურად გამართლებას.

იმავე სხდომაზე ყრილობამ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ მოისმინა საქართველოს განსახკომის ამხ. აკ. თათარიშვილის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება.

★

კამათში ამხ. თათარიშვილის მოხსენების ირგვლივ პირველად გამოვიდა ამხ. ნინა მახარაძე. იგი შეეხო სკოლის ასაკამდე აღზრდისა და საბავშვო დაწესებულებების მუშაობის აქტუალურ საკითხებს.

დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობის გაჯანსაღებისა და სასკოლო მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები გააშუქა ამხ. ქ. ქაჩარავამ.

ამხ. მამულიამ ილაპარაკა ჯანმრთელობის ორგანოების და საავადმყოფოების მუშაობის გაჯანსაღების შესახებ.

აფხაზეთის მიღწევები კულტურული მშენებლობის ფრონტზე ყრილობას დაწვრილებით გააცნო ამხ. აგზიანიძემ.

ამხ. ქურასბედიანი და გადელია შეეხნენ კულტურულ მშენებლობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს ზემო სვანეთსა და ქვემოსვანეთში.

★

ყრილობამ ამხ. თ. ჟღენტის წინადადების თანახმად გამოჰყო კომისია ამხ. თათარიშვილის მოხსენების გარშემო რეზოლუციის შესამუშავებლად.

13 იანვრის საღამოს სხდომა.

13 იანვრის საღამოს (მეშვიდე) სხდომა დაიწყო კამათის გაგრძელებით ამხ. თათარიშვილის მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხ. ჭიჭინაძე, ჯიქია, ი. ვაშაყმაძე, ა. ბერიძე, ალიევა, ხ. [illegible].

ყრილობაზე მოვიდა მოძმე რესპუბლიკის საბჭოთა აზერბეიჯანის დელეგაცია. როცა ბაქოს სახელოვანი პროლეტარიატის წარმომადგენლები სცენაზე ადიოდენ. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა გაისმა ტაში და „ვაშას" ძახილი.

გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს! გაუმარჯოს ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს „ვაშა" ბაქოს პროლეტარიატს! თვითეულ ამ შეძახილს ფარავს მქუხარე ტაში და „ვაშა".

ყრილობას პირველი ესალმება ამხ. ი. მამედოვი მისი უკანასკნელი სიტყვები „იაშასუნ იოლდაშ სტალინ! იაშასუნ იოლდაშ ბერია!"—კვლავ იწვევენ ხანგრძლივ ტაშს.

ამხ. ზორინმა—ბაქოს ნავთის სარეწაოების დამკვრელმა მუშამ 35 წლის სტაჟით ყრილობის დელეგატებს ბაქოს პროლეტარების სახელით გადასცა მხურვალე ძმური სალამი. თავის მისალმებაში მან ხაზგასმით აღნიშნა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშებისადმი ამხ. ლ. ბერიას ოპერატიული ხელმძღვანელობის უდიდესი როლი. რამაც მიიყვანა ისინი გამარჯვებამდე საწარმოო ფრონტზე. ამხ. ზორინმა ბაქოს პროლეტარიატის სახელით სიტყვა მისცა ყრილობის დელეგატებს რომ ნავთის ამოღების 1935 წლის გადიდებულ გეგმას ისინი გადაჭარბებით შეასრულებენ.

კოლმეურნე ქალი ამხ. ქერიმოვა, რომელსაც ყრილობის დელეგატები მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან, მოუთხრობს ყრილობას თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს აზერბეიჯანის კოლმეურნეებმა ბამბის მინდვრებზე.

პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია. და მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციებს უმართავს თავის ხელმძღვანელს. დარბაზში რამდენიმე წუთის განმავლობაში გაისმის მძლავრი „ვაშა" გაისმის: „გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას"! „გაუმარჯოს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს!", „გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ხელმძღვანელს ლავრენტი ბერიას"!

აზერბეიჯანის დელეგაცია ამხ. ი. მამედოვის, ა. ზორინის ნ. ქერიმოვას, კუდრატ სამედოვის, ვ. ოსიპოვის შემადგენლობით არჩეულია პრეზიდიუმში, რასაც ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. როგავამ და მწერალმა მ. ჯავახიშვილმა.

ამხ. თათარიშვილი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე, ვინაიდან ყველა ამხანაგის გამოსვლა იყო ამხ. თათარიშვილის მოხსენების შევსება და სადავო არავის არაფერი წამოუყენებიათ.

შემდეგ მოხსენებით საკონსტიტუციო საკითხებზე გამოდის ამხ. თენგიზ ჟღენტი.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიიღო საქართველოს ცაკმა საკონსტიტუციო საკითხებზე.

სცენაზე ადის ტფილისის საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი დელეგაცია. მათ შორის არიან: პროფესორები, მწერლები, პოეტები, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნების და სხვ. მუშაკები.

მწერლების სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. პაოლო იაშვილი, მეცნიერების მუშაკთა სახელით — პროფესორი მუსხელიშვილი, ხელოვნების მუშაკთა სახელით ამხ. დოლიძე პოეტებმა გაფრინდაშვილმა, ჩიქოვანმა და გრიშაშვილმა წაიკითხეს თავისი ლექსები, რასაც დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

პროფესორმა მაჭავარიანმა თავისი შინაარსიანი მისალმება დაზგის და ტრაქტორის წარჩინებული ადამიანებისადმი, რომლებიც ყრილობას ესწრებიან, დაამთავრა ტფილისის საბჭოთა ინტელიგენციის პატაკით ამხ. სტალინისა და ყრილობისადმი.

სცენაზე ადიან ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშები, რომლებსაც აცვიათ თავისი სპეცტანსაცმელი. ხელში მათ უჭირავთ მაღაროელის სანათურები ამხ. გუგუდეიშვილი პატაკს აძლევს ყრილობას ჭიათურის სამადნოების მუშაობის შესახებ.

თავისი მისალმების დასასრულს ამხ. გუგუდეიშვილმა განაცხადა, რომ ჭიათურის სამადნოების მაღაროელებმა გადაწყვიტეს, რომ ახალი კოლხელშეკრულების თანახმად მიღებული პირველი სპეცტანისამოსი მიართვან საპატიო მაღაროელს, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

მაღაროელებმა ამხ. ბერიას გადასცა სპეცტანისამოსი და სანათური, რამაც დარბაზში მქუხარე ტაში გამოიწვია.

საქართველოს საშეფო ორგანიზაციების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. [illegible]ჩაძე.

ამხ. ლადარია კითხულობს მოსკოვის საბჭოების საოლქო ყრილობის მისალმებას სრულიად საქართველოს მე-7 ყრილობისადმი.

მქუხარე ტაშით ხვდებიან დელეგატები მოსკოვის ორდენოსანი ოლქის მეგობრულ მისალმებას.

ამით დამთავრდა 13 იანვრის საღამოს სხდომა.

საარის ოლქი

საარის ოლქი მდებარეობს საფრანგეთის და გერმანიის საზღვარზე. მას უჭირავს 1.910 კვადრ. კილომეტრი ფართობი და მისი მოსახლეობა შესდგება 818 ათასი კაცისაგან, აქედან 191,5 ათასი სამრეწველო მუშაა.

საარის ოლქის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს მისი ქვანახშირის საბადოები, რომელთა მარაგი 12 მილიარდი ტონათი განისაზღვრება. იმის გამო, რომ საარის ოლქს ახლოს აკრავს რკინის საბადოები, რომლებიც უმთავრესად ლოტარინგიაში მდებარეობენ (საარიდან 70 კილომეტრის მანძილზე), საარის ოლქში შეიქმნა მძლავრი მეტალურგიული ბაზა. ქვანახშირის 160 მაღაროში მუშაობს 50 ათასი მუშა: 1933 წელს ამოღებულ იქნა 10.561 ათასი ტონა ქვანახშირი. საარის ოლქში არის 30 ბრძმედი (1934 წლის 1 იანვრისათვის მუშაობდა 19). ლითონის მუშათა საერთო რიცხვი 35 ათას კაცს აღემატება. 1933 წლის განმავლობაში გამოდნობილ იქნა 1.700 ათასი ტონა თუჯი, 1.600 ათასი ტონა ფოლადი. 1.400 ათასი ტონა ტკეცილი ფოლადი.

საარის ეკონომიური მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ იგი უფრო ახლოს მდებარეობს ქვანახშირით ღარიბ ქვეყნებთან—საფრანგეთთან, შვეიცარიასთან, იტალიასთან, ვიდრე ევროპის დანარჩენი ქვანახშირის ბასეინები. კერძოდ, საარის ქვანახშირი ძლიერ ესაჭიროება საფრანგეთის მძიმე მრეწველობას, რომელიც მუდამ საიმპორტო ქვანახშირით მუშაობდა.

იმპერიალისტურ ომამდე საარი ეკუთვნოდა გერმანიას. ვერსალის ხელშეკრულებით საარის ოლქის მართვა-გამგეობა 15 წლით—1935 წლამდე—გადაეცა ერთა ლიგას. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოსახლეობამ კენჭის ყრის გზით უნდა გადასწყვიტოს ოლქის შემდგომი ბედი. ოლქის სათავეში დგას მთავრობის კომისია, რომელსაც ნიშნავს ერთა ლიგის საბჭო, 5 კაცის შემადგენლობით: ერთი ფრანგი, ერთი არა ფრანგი, საარში დაბადებული და იქაური მცხოვრები, და სამი წარმომადგენელი ნეიტრალური ქვეყნებიდან. ამჟამად საარის მთავრობის კომისიის სათავეში დგას კანადელი ნოქსი.

საარის ოლქში არსებობს რაღაც პარლამენტის მაგვარი—ლანდესრატი (საოლქო საბჭო). ლანდესრატს ყავს 30 დეპუტატი, რომლებსაც ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა. უკანასკნელი არჩევნების დროს, რომელიც 1932 წელს მოხდა, საოლქო საბჭოში შევიდნენ: 14 დეპუტატი ცენტრის კათოლიკური პარტიიდან, 2 ნაციონალ-სოციალისტი, 3 დეპუტატი დანარჩენი გერმანელი ბურჟუაზიული პარტიებიდან, 3 სოციალ-დემოკრატი და 8 კომუნისტი. უკვე მარტო ის, რომ საარის საოლქო საბჭოს კომფრაქციას აქვს ერთმეოთხედზე მეტი მანდატი, მოწმობს კომუნისტური პარტიის საგრძნობ გავლენას ოლქის მაღაროელებსა, მეტალურგებსა და მთელ მშრომელ მოსახლეობას შორის.

საარის ოლქის ქვანახშირის მთელი საბადოები ვერსალის ხელშეკრულებით გადაეცა საფრანგეთს როგორც კომპენსაცია ჩრდილოეთ საფრანგეთში ქვანახშირის მაღაროების დანგრევისათვის და სარეპარაციო გადასახდელების ანგარიშში. საფრანგეთმა მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, რათა საარის ოლქში განემტკიცებინა თავისი ეკონომიური პოზიციები. 1926 წელს ოლქი შეტანილ იქნა საფრანგეთის საბაჟო სისტემაში. ამჟამად საარის ოლქს საფრანგეთის ექსპორტში მეხუთე ადგილი უჭირავს—ბელგიის, ინგლისის, გერმანიის და შვეიცარიის შემდეგ.

საფრანგეთის ექსპორტი საარის ოლქში უფრო მეტია ვიდრე ამერიკის შეერთ. შტატებსა ან იტალიაში.

1934 წელს საარის ოლქში ამოღებული ქვანახშირის 10 პროცენტი გატანილ იქნა გერმანიაში, 43,8 პროც. საფრანგეთში, 9.5 პროც.—სხვა ქვეყნებში, 36,7 პროცენტი გამოყენებულ იქნა ადგილობრივი მრეწველობის მიერ.

საარის ოლქის ყველაზე დიდ საწარმოებს წარმოადგენენ როხლინგის კონცერნის კუთვნილი საწარმოები. ბევრ სააქციო საზოგადოებაში თანამშრომლობენ ფრანგი და გერმანელი კაპიტალისტები; ამ საზოგადოებათა რიცხვს ეკუთვნის: „საარის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები" და „დილინგერ ჰიუტენვერკეს" ქარხნები. როხლის გამგეობაში სხვა ფრანგებთან ერთად შედის საფრანგეთის ახლანდელი ელჩი ბერლინში ფრანსუა პონსე.

საარის ოლქს აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც. იგი დასერილია მთელი რიგი სარკინიგზო ხაზებით და საავტომობილო გზებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ გერმანიას სწრაფად მოუყაროს თავი ჯარებს საფრანგეთის საზღვართან.

დღეს საარის ოლქში მოხდება ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახალხო კენჭისყრა. ყველა პირმა, განურჩევლად სქესისა, ვისაც კი 20 წელი შეუსრულდა და საარის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში, სამი გადაწყვეტილებიდან უნდა ამოირჩიოს ერთი:

1. საარის ოლქის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, ე. ი. მისი დატოვება ერთა ლიგის გამგებლობაში.
2. საფრანგეთთან შეერთება.
3. გერმანიასთან შეერთება.

ხმის მიცემა იწარმოებს 901 პუნქტში. თვითეულ პუნქტში კენჭისყრას თვალყურს ადევნებს განსაკუთრებული კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ნეიტრალური ქვეყნის მოქალაქე (ერთა ლიგამ აქ ამისთვის გაგზავნა ინგლისელები, შვეიცარიელები, იტალიელები, ნორვეგიელები, შვედები და ჰოლანდიელები) და საარის ოთხი მცხოვრები (ორი წარმომადგენელი „გერმანიის ფრონტიდან"—ორგანიზაციიდან, რომელიც მხარს უჭერს გერმანიასთან შეერთებას და ორი—ასეთი შეერთების მოწინააღმდეგეთაგან). კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს 520 ათასი კაცი.

1934 წლის 3 დეკემბერს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, ახლანდელ კენჭისყრასთან დაკავშირებით მთელ რიგ საკითხებზე დადებულ იქნა შეთანხმება, რომელიც 6 დეკემბერს დაამტკიცა ერთა ლიგის საბჭომ. გერმანიამ იკისრა იმ შემთხვევაში, თუ საარის ოლქი მას შეუერთდა არ დაუწყოს დევნა იმ მცხოვრებლებს, რომლებიც მხარს უჭერდენ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება იმის შესახებ, რომ გერმანია საფრანგეთისაგან გამოისყიდის საარის მაღაროებს. გამოსასყიდი თანხის რაოდენობა განსაზღვრულია 900 მილიონი ფრანგული ფრანკით.

იმ ბრძოლაში, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ოლქის შემდგომი ბედი, მონაწილეობას ღებულობს საარის ოლქის ორი ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფება:

1. ფაშისტური „გერმანიის ფრონტი", რომელიც შეიქმნა გერმანული ბურჟუაზიული პარტიების „თვითდაშლის" შემდეგ. გერმანიის ფრონტს მეთაურობს მილიონერი—ქარხნებისა და მაღაროების მფლობელი როხლინგი; ამ ფრონტს მოეპოვება უდიდესი ფულადი სახსრები და იგი ემყარება ფაშისტური გერმანიის სახელმწიფო აპარატის მთელს ძლიერებას.

2. მთლიანი ანტიფაშისტური ფრონტი, რომელიც მოაწყვეს კომუნისტურმა პარტიამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. იგი მოუწოდებს მშრომელებს ხმა მისცენ ახლანდელი რეჟიმის შენარჩუნებას. საარის ოლქის კომპარტიის პოზიცია ასეთია: საარის ოლქის პროლეტარიატის მთავარი ამოცანაა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს გერმანიის ფაშისტურ დიქტატურას: ანტიფაშისტური ბრძოლის თვალსაზრისით საარის ოლქის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელისათვის ახლანდელი რეჟიმის შენარჩუნება წარმოადგენს უფრო მეტ უპირატესობებს. („პრავდა").

ლ. ვოლინსკი.

მდგომარეობა საარში

პარიზი, 11 იანვარი. ჰავასის სააგენტო საარბრიუკენიდან იუწყება, რომ მოსახლეობაში უმნიშვნელო ნერვიულობა გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით და, კერძოდ, იმ ხმებთან დაკავშირებით, რომ მზადდება ნაციონალ-სოციალისტური პუტჩი 13 იანვრის საღამოს. სააგენტოს სიტყვით, ინგლისის გენერალური შტაბი აცხადებს, რომ საარში მყოფი საერთაშორისო ჯარები ყოველ მომენტში მზად არიან უზრუნველყონ წესრიგი.

საარბრიუკენი, 11 იანვარი. გავლენა მოახდინა ანტიფაშისტური ფრონტის ხელმძღვანელთა მტკიცე განცხადებამ, რომ ისინი მზად არიან თავისი ძალებით გაუწიონ წინააღმდეგობა ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის — „გერმანული ფრონტის" პროვოკაციას იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის კომისია არ მიიღებს ზომებს. გუშინ გამოირკვა, რომ ხელისუფლებამ, დაბოლოს, გადაწყვიტა მიმართოს სერიოზულ ღონისძიებებს, რათა არ დაუშვას ნაციონალ-სოციალისტური გამოსვლების განახლება. ამასთან დაკავშირებით, დღევანდელი ფაშისტური გაზეთები „გერმანული ფრონტის" მომხრეებს მოუწოდებენ არ გამოფინონ დროშები, არ ჩამოგლიჯონ ერთიანი ფრონტის პლაკატები და სხვ. დამახასიათებელია, რომ ამ მოწოდებებს თან ერთვის სასაცილო მტკიცება, თითქოს თვით ერთიანი ფრონტის ხელმძღვანელები აძლევენ თავის მომხრეებს დავალებას გამოფინონ ფაშისტური დროშები, ჩამოგლიჯონ თავისი პლაკატები და ყოველივე ამას „გერმანული ფრონტის" ნამოქმედარად ახდენენ.

დღეს დილიდანვე ქუჩებში დაყენებულია პოლიციის გაძლიერებული პატრულები. ვაგზალი გარშემორტყმული იყო პოლიციელებით, რომლებიც უკრძალავდენ ხალხს მის გარშემო თავმოყრას. ვაგზალზე მორიგეობდენ უცხოეთის ჯარების რაზმები, ამის შედეგად გერმანიიდან 9 მატარებლის მოსვლა საარის ყოფილი მცხოვრებლებით მშვიდობიანად ჩატარდა, რაც პირველი შემთხვევაა მთელი კვირის განმავლობაში.

პარიზი, 11 იანვარი. საარბრიუკენიდან იუწყებიან, რომ იქ ჩავიდა 365 ჰოლანდიელი, 300 შვეიცარიელი და 230 ლუქსემბურგელი მოქალაქე, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან კენჭისყრის ჩამტარებელ ადგილობრივ ბიუროს. დღეს სამ დარბაზში შესდგა ამ ბიუროს 901 თავმჯდომარის კრება, რომლებმაც მისცეს ფიცი დაიცვან საარის ოლქის კანონები და კეთილსინდისიერად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს მიმართვა საარის ოლქის მოსახლეობისადმი

ჟენევა, 11 იანვარი. აქ სულ უფრო და უფრო მტკიცდება რწმენა, რომ საარის ხვალინდელი პლებისციტის შედეგები იქნება ისეთი, რომ ერთა ლიგის საბჭო ვერ შესძლებს რამე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას თავის ახლანდელ სესიაზე, და რომ ასეთ გადაწყვეტილებათა წინასწარ მოსამზადებლად საჭირო იქნება დახმარება საარის ოლქის სამთა კომიტეტისა ალოიზის თავმჯდომარეობით. საქმის ასეთი მდგომარეობის მოლოდინში ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა გააგრძელოს სამთა კომიტეტის რწმუნებანი ვადა, რომელიც 13 იანვარს გადის. ეს გადაწყვეტილება საბჭომ მიიღო დილის დახურულ სხდომაზე.

ამავე სხდომაზე საბჭომ საფრანგეთის დელეგაციის წინადადებით ერთხმად დაადგინა სპეციალური მოწოდებით მიმართოს საარის მოსახლეობას. მიმართვის ტექსტში, რომელიც საბჭომ მიიღო, ნათქვამია:

„საყოველთაო კენჭისყრის წინ საბჭოს სურს მიმართოს საარის ოლქის მოსახლეობას შემდეგი საზეიმო მოწოდებით:

საბჭო სთხოვს საარის მოსახლეობას დაიცვას სიწყნარე და საკუთარი ღირსება და ამით დაამტკიცოს, რომ იგი ანგარიშს აძლევს თავის თავს მომავალი კენჭისყრის მნიშვნელობაში.

საბჭო ფიქრობს, რომ საარის ოლქის მოსახლეობა მომავალშიაც მოიქცევა ასე და იგი ნდობით დაელოდება, რომ საბჭო შესაძლო მოკლე ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოტანილი იქნება პლებისციტის შემდეგ". (ადს).

ნაციონალ-სოციალისტური ტერორი საარის ოლქში

საარბრიუკენი, 11 იანვარი. საარის პლებისციტის მოახლოებასთან ერთად ოლქში გაძლიერდა ნაციონალ-სოციალისტური ტერორი. ნაციონალ-სოციალისტთა თავდასხმის საფრთხის გამო იმ ადგილებს, სადაც მუშები იკრიბებიან, იცავენ მთლიანი ანტიფაშისტური ფრონტის თავდაცვის რაზმები. გაძლიერებული ფაშისტური ტერორის საპასუხოდ მუშები აფართოებენ გმირულ ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ.

როგორც ველკლინგენელი მუშები გადმოგვცემენ, იქ ამ დღეებში წარმოებდა ბრძოლა მთლიანი ფრონტის თავდაცვის რაზმებსა და მოიერიშეებს შორის. თავდასხმა დაიწყეს მოიერიშეებმა, რომლებიც ცდილობდენ მთლიანი ფრონტის პლაკატების ჩამოგლეჯას. პოლიცია უმოქმედოდ იდგა. მოიერიშეები სისტემატიურად აცემენ ცალკეულ ანტიფაშისტებს. ისინი ემუქრებიან მთლიანი ანტიფაშისტური ფრონტის აქტივისტთა ცოლებს. დაბა [illegible] ფაშისტთა ბელადის რეხლინგის ქარხნის სამქროების გამგეები ყოველნაირად ცდილობენ ჩააბან მუშები „გერმანიის ფრონტში", ემუქრებიან რა მათ სამუშაოდან დათხოვნით. ამ დაბის წვრილი ბურჟუები მოგვითხრობენ, თუ როგორ ასახლებდენ მუშებს ბინებიდან სახლის მეპატრონეები „გერმანიის ფრონტის" ზეგავლენით. ამასწინათ ველკლინგენში ღამით ბინიდან გამოასახლეს ქვრივი სამი ბავშვით მხოლოდ იმიტომ, რომ, ნაციონალ-სოციალისტების თვალსაზრისით, იგი არ არის მთლად საიმედო.

პარიზი, 12 იანვარი. ჰავასის სააგენტოს საარბრიუკენიდან ატყობინებენ, რომ იმ მოძრაობის ხელმძღვანელებმა, რომელიც წარმოებს საარის ოლქში სტატუსკვოს შენარჩუნების სასარგებლოდ, ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„განუწყვეტლივ ძლიერდება ნაციონალ-სოციალისტთა უმაგალითო ტერორი იმ ჯგუფებისა და გაზეთების მიმართ, რომლებიც მოითხოვენ სტატუს-კვოს შენარჩუნებას და ამგვარად საარის მოსახლეობისათვის შეუძლებელი ხდება თავისი ნებასურვილის თავისუფლად გამომჟღავნება. ჩვენ ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს და მოვითხოვთ ერთა ლიგის დაუყოვნებლივ ჩარევას". (ადს).

საარის პლებისციტის შედეგები გამოქვეყნდება 15 იანვარს

საარბრიუკენი, 11 იანვარი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ საარის პლებისციტის შედეგები გამოქვეყნდება მხოლოდ 15 იანვარს დილით. გამოქვეყნება მოხდება რადიოთი ერთსა და იმავე დროს საარბრიუკენსა, ფრანკფურტსა და პარიზში. ხმები გამოანგარიშებული იქნება ცალკე 83 რაიონის მიხედვით. ამასთან მოცემული იქნება ხმების რაოდენობა ახლანდელი რეჟიმის შენარჩუნების სასარგებლოდ, საარის ოლქის საფრანგეთთან და გერმანიასთან შეერთების სასარგებლოდ.

11-დან 15 იანვრამდე აკრძალულია ყველა თვითმფრინავის გადაფრენა საარის ოლქზე, გარდა რეგულარული საფოსტო და სამგზავრო თვითმფრინავებისა. (ადს).

გერმანიის მთავრობის ოფიციალური ცნობა

ბერლინი, 12 იანვარი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ რომ იმ შემთხვევაში, თუ საარის ოლქი შეუერთდა გერმანიას, იგი ადმინისტრატიული მხრით დარჩება მთლიან ოლქად. შემდეგ ნათქვამია, რომ საარი პფალცთან ერთად შეადგენს ნაციონალ-სოციალისტურ პარტიის ერთ საოლქო ორგანიზაციას, რომლის მეთაური იქნება პფალცის ორგანიზაციის ახლანდელი ხელმძღვანელი და გერმანიის მთავრობის რწმუნებული საარის ოლქში ბიურკელი იგივე დაინიშნება სახელმწიფო კომისრად, რომელიც ჩაატარებს საარის ოლქის შეტანას გერმანიის შემადგენლობაში. (ადს).

კრედიტები საარის ოლქს

ბერლინი, 12 იანვარი. გერმანიის დამზღვევმა საზოგადოებებმა გადასწყვიტეს მისცენ საარის ოლქს ათი წლის ვადით სამი მილიონი მარკის კრედიტები. მათი დანიშნულებაა შესცვალონ ის კრედიტები, რომლებსაც ამჟამად აძლევენ ფრანგები (ადს).

სურათზე: ამხ. მეზუკე მოსკოვის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში გასაგზავნი აბრეშუმის აწონვაზე.

დადგენილება
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

„კოლმეურნეობათათვის 1933 წლის იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე" არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების შესახებ.

„კოლმეურნეობათათვის 1933 წ. იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე" არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების („იზვესტია" 1934 წ. დეკემბრის 24-ისა, № 300) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის დავალიანება, რომელიც ჰქონდათ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიმართ 1933 წლის 1-ლ იანვრამდე მიღებული სესხის გამო დარიცხულიც ჩამოეწეროთ მათ სახელმწიფო საფინანსო დახმარების აღმოჩენის მიზნით—საერთო თანხით 19.947.000 მან. განაწილებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებს შორის შემდეგნაირად:

აფხაზეთის ასსრ	3.545.128	მან.
აჭარისტანის ასსრ	1.053.184	„
სამხრ.-ოსეთის ავტ. ოლქი	123.376	„
ახალქალაქის რაიონი	175.288	„
ბოგდანოვკის	113.918	„
ახალციხის	106.474	„
ასპინძის	41.075	„
ადიგენის	9.000	„
სტალინირის	39.756	„
გორის	217.313	„
კასპის	75.000	„
ბორჯომის	58.095	„
გურჯაანის	196.017	„
სიღნაღის	303.052	„
თელავის	167.954	„
ყვარლის	101.540	„
ლაგოდეხის	326.000	„
ტფილისის	309.188	„
ყარაიის	69.000	„
ბორჩალოს	108.362	„
ლუქსემბურგის	11.530	„
წალკის	100.900	„
დუშეთის	42.171	„
ალბულაღ-მანგლისის	187.000	„
საგარეჯოს	33.239	„
ბაშკიჩეთის	30.152	„
ყაზბეგის	32.415	„
თიანეთის	90.518	„
ქუთაისის	89.300	„
სამტრედიის	432.961	„
ხონის	231.938	„
ვანის	80.000	„
ბაღდადის	20.461	„
ზესტაფონის	48.288	„
ჩხარის	55.039	„
ჭიათურის	29.386	„
ტყიბულის	565.673	„
ონის	98.577	„
ენუქიძის	13.380	„
ცაგერის	107.000	„
ქვემო-სვანეთის	2.000	„
აბაშის	48.425	„
სენაკის	619.769	„
მარტვილის	667.770	„
ზუგდიდის	1.677.305	„
ხობის	206.105	„
წალენჯიხის	1.128.103	„
ჩხოროწყუს	550.000	„
მახარაძის	2.740.005	„
ლანჩხუთის	1.666.760	„
ჩოხატაურის	1.179.365	„
ფოთის	2.457	„
სულ საქართველოში	19.946.702	

2. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ზემოაღნიშნული თანხების ფარგლებში თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონისათვის დააზუსტონ და განსაზღვრონ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის სარაიონო ფილიალების წარდგენით, თვითეული კოლმეურნეობისათვის ჩამოსაწერი დავალიანების თანხა და სათანადო ცნობები წარმოუდგინონ საბოლოოდ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის საშუალებით 1935 წ. იანვრის 20-მდე.

3. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას გამოარკვიოს 1935 წლის იანვრის 25-მდე კოლმეურნეობათათვის ჩამოსაწერ სესხზე ფაქტიურად დარიცხული, მაგრამ ჯერ გადაუხდელი პროცენტების საერთო ჯამი მთელი საქართველოს სსრ-ში და ეს ცნობები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ კომისართა საბჭოს. თვითეული რაიონისა, კოლმეურნეობისა და შემდეგ მთელი საქართველოს სსრ-ის მიხედვით ფაქტიურად ჩამოსაწერი დავალიანების დაზუსტებული თანხის შესახებ ცნობებთან ერთად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას ამ დადგენილებაში აღნიშნული დავალიანების ჩამოწერა დაამთავრონ თვითეული ცალკეული კოლმეურნეობის მიმართ არა უგვიანეს 1935 წლის თებერვლის 15-ისა და დაუბრუნონ თვითეულ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის თავის დროზე გაცემული სათანადო გრძელვადიანი ვალდებულება.

5. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობასთან ერთად გამოცემული ინსტრუქცია.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას დაუყოვნებლივ მიაწოდონ აღნიშნული ინსტრუქცია სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფილიალებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე

1935 წ. იანვრის 4
ტფილისი.

ამინდი საქართველოში

(12 იანვრის 8 საათიდან 13 იანვრის 8 საათამდე)

დასავლეთ საქართველოში: იდგა მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით. ზღვის განაპირა რაიონებში ტემპერატურა დღისით: ირყეოდა +11 გრადუსიდან (გაგრა) +8 გრადუსამდე (ბათომი), ღამით:—2 გრადუსიდან (სოხუმი, ოჩამჩირე, გალი)+4 გრადუსამდე (ფოთი); მთ. რაიონის ხულოსა და წიფის რაიონში ჰქროდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, დანარჩენ რაიონებში—სუსტი ქარები.

აღმოსავლეთ საქართველოში: გუშინ დღე-ღამის განმავლობაში უმეტესად მოწმენდილი მშრალი ამინდი იდგა. ყველგან ჰქროდა სუსტი ქარები. ტემპერატურა დღისით ირყეოდა —16 გრადუსიდან (გორი)+3 გრადუსამდე (თელავი); ღამით, —28 გრადუსიდან (ყარაიაზი)—8 გრადუსამდე გუდაურში. ტფილისში ღამით ყინვა 20 გრადუსს აღწევდა.

თოვლის სიღრმე სანტიმეტრებში: წიფა—20, სურამი—16, აბასთუმანი—32, ახალქალაქი—23, სტალინირი (ცხინვალი)—33, გორი—26, დუშეთი—42, მანგლისი—30, ტფილისი—16, ლუქსემბურგი—28, ყარაია—25, საგარეჯო—20.

◆◆

გასწორება

ამხ. მგალობლიშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. ჯიჯილავა და არა ჯიქია, როგორც ეს შეცდომით დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ამხ. სტალინის მისალმების საპასუხოდ
სახკინმრეწვის მუშაკებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები

11 იანვარს საქართველოს სახკინმრეწვში გაიმართა რეჟისორების, ოპერატორების და სცენარისტების კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კინოს 15 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. სტალინის მიერ გაგზავნილი მისალმება, აგრეთვე საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

უდიდესი სიხარულით, აღელვებით შეხვდნენ კინო-მუშაკები საყვარელი დიდი ბელადის და კომპარტიის გენერალური შტაბის მისალმებას.

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკები რომლებსაც მთელი რიგი ბრწყინვალე მიღწევები აქვთ მაღალხარისხოვან ფილმებისათვის ბრძოლის ფრონტზე, პირობას იძლევიან არ შეჩერდენ მიღწეულ წარმატებებზე და მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ 1935 წელს საქართველოს კინემატოგრაფია აიყვანონ კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე, მისცენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი მთელი რიგი ახალი მხატვრული კინო-სურათები.

რეჟისორმა ამხ. დოლიძემ აღნიშნა კინოს უდიდესი მნიშვნელობა კულტურულ ფრონტზე, განსაკუთრებით, როცა იგი შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ამხ. დოლიძემ მოუწოდა საქართველოს სახკინმრეწვის მუშაკებს პარტიის ბელადის მისალმების საპასუხოდ მთელი ძალღონე მოახმარონ რეალიზმით და სამოქალაქო ომის მაღალმხატვრული ჩვენებით გასაოცარი კინოსურათის — „ჩაპაევის" დადგმის უდიდესი გამოცდილების ათვისებას.

სამულტიპლიკაციო სამქროს რეჟისორი ამხ. მუჯირი, სთქვა რა საქართველოს სახკინმრეწვის მიღწევებზე სამულტიპლიკაციო განყოფილების გარდაქმნის, რომელმაც ხელი მოჰკიდა არა მარტო მულტიპლიკაციურ-ტექნიკური ფილმების, არამედ აგრეთვე პირველი მხატვრული სამულტიპლიკაციო კინო-ფილმის „არგონავტების" დადგმას, ამხ. სტალინის და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილის საპასუხოდ სამქროს სახელით პირობას იძლევა თავის დროზე გამოუშვას ეს სურათი.

საქართველოს სახკინმრეწვის პარტკომის მდივანმა ამხ. ერიხსონმა აღნიშნა, რომ სახკინმრეწვის მუშაკების მიერ საბჭოების მე-7 ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიუხედავად, პასუხად მისალმებებისა და პარტიის და მთავრობის, პირადად ამხ. სტალინის კინოზე უდიდესი ზრუნვის საპასუხოდ, საჭიროა აღმოიფხვრას კიდევ მთელი რიგი საწარმოო დეფექტები და მიღწეულ იქნას იდეალური საწარმოო დისციპლინა ფაბრიკაში.

საბჭოთა კინოს 15 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახკინმრეწვის მუშაკებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ამხ. შუმიაცკის და საბჭოთა კავშირის კინოფოტომუშაკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, ამხ. შლიახინს,—მოთხრობა „წითელ ეშმაკუნების" ავტორს, რომლის მიხედვით შეიქმნა იმავე სახელწოდების პირველი მხატვრული ფილმი.

ბელადის მისალმებამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს სახკინმრეწვის მუშაკებში.

— ახლა უკვე სხვანაირი მუშაობა დაიწყება, აცხადებენ კრების დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი, მუშაობა შემდგომი აღმავლობისათვის, იმისათვის, რომ კინო-ოსტატები გაბედულად ჩასწვდნენ „ყველაზე მნიშვნელოვანი (ლენინი) და ყველაზე მასობრივი ხელოვნების — კინოს —ახალ დარგებს". (ადს).

◆★◆

სახკინმრეწვის 1935 წლის გეგმა

საქართველოს კინო-მრეწველობას 1935 წლისათვის ფრიად საყურადღებო სამუშაო გეგმა აქვს დასახული.

გეგმა თემატიურად წარმოადგენს სახკინმრეწვის მიერ უკანასკნელ წლებში აღებული გზის გაგრძელებას და გაღრმავებას. გეგმაში შეტანილია 4 თემა, ხოლო თვითეულ თემაზე მიღებულია რამდენიმე სცენარი.

პირველ თემად გეგმაში შეტანილია: სოციალისტური მშენებლობა ქალაქში, შემდეგ სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია სამხედრო თავდაცვითი საქმე და ისტორიულ-რევოლუციური წარსული.

ამ თემებიდან სამი სცენარი მიღებულია სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხზე: ესენია „უღელტეხილი" შერილ ლ. ქიაჩელის და ნ. შენგელაიას სცენარის მიხედვით, რეჟ. ნ. შენგელაია, „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" — კ. ლორთქიფანიძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით სცენარი კ. ლორთქიფანიძისა და დავით რონდელისა, რეჟ. დ. რონდელი. „დიდი წვრილმანები" — სცენარი ი. მოსაშვილის და ნ. ლოლობერიძის, რეჟ. ნ. ლოლობერიძე.

ქალაქში სოციალისტური მშენებლობის საკითხებზე მიღებულია ერთი სცენარი: „ალისფერი ვარდი" ა. ზორინის ფელეტონის „დილის" მიხედვით, რეჟისორი ს. ჯალიაშვილი.

სამხედრო-თავდაცვითი თემაზე გადაღებული იქნება; „ფრთოსანი მღებავი", სცენარი გ. მდივანისა, რეჟ. ლ. ესაკია.

გადაღებული იქნება ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის შემდეგი კინო-სურათები: „ჯამი" სცენარი ოლღა ფორშის და ბ. ბიბინეიშვილისა, რეჟ. შიუკაშვილი. „სიმწიფის მოწმობა" სცენარი იაკოველევის და გ. ცაგარელისა რეჟ. ვ. მაკარიძე.

გარდა ამისა სახკინმრეწვის გეგმა ითვალისწინებს სურათების გადაღებას კლასიკოსების ნაწერების მიხედვით. რეჟ. ს. დოლიძე იღებს ეგნატე ნინოშვილის „სიმონას", რეჟისორები: კ. მიქაბერიძე და ნიკიტენკო იღებენ „ქაჯეთის ციხის აღებას" რუსთაველის მიხედვით.

ამასთანავე სახკინმრეწვი 1935 წელს ექსპლოატაციაში გაუშვებს, წინა წლებში დაწყებულ სურათებს: „არშაულა", რეჟ. დ. რონდელი, „მდინარის იქით", რეჟ. ვ. შიუკაშვილი; საბავშვო, ხმოვანი, მულტიპლიკაციური „არგონავტების დამძლევნი", რეჟ. ვ. მუჯირი. გამოშვებული იქნება „უკანასკნელი ჯვაროსნები".

ზემოდ დასახელებულ სცენარებიდან უმეტესი ნაწილი უკვე დამზადებულია და კინომრეწველობა უახლოეს ხანში შეუდგება მათ გადაღებას ხოლო „არშაულა" და „მდინარის იქით" უკვე მზადაა და გამოვა საბჭოთა კინემატოგრაფიის 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

◆◆

შემნახველი სალაროების გამარჯვება

საქართველოს შრომის შემნახველმა სალაროებმა ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს — გეგმით გათვალისწინებული 59.655 ათასი მანეთის ნაცვლად შეკრიბეს 62.596 ათასი მანეთი, რაც წლიური გეგმის 104,9 პროც. შეადგენს.

სახელმწიფო სესხზე ხელმოწერილი თანხის ანგარიშში შემნახველ სალაროებს 1 იანვრისათვის უნდა აეკრიფათ 55.735 ათასი მანეთი. ფაქტიურად აკრიფეს 56.175 ათასი მანეთი; გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით.

ანაბრების შეგროვება გათვალისწინებული იყო 3.920 ათასი მანეთის რაოდენობით ფაქტიურად შეგროვილია 6.351 ათასი მანეთი, ანუ ნავარაუდევი თანხის 162

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

ვარშავა, 10 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად რატიფიცირებულ იქნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ოქმი, ხელმოწერილი 1933 წლის ივლისში, და სარკინიგზო კონვენცია, ხელმოწერილი 1924 წლის აპრილში (ადს).

ლავალის განცხადება რომის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

პარიზი, 10 იანვარი. მინისტრთა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავალმა გააკეთა მოხსენება რომის მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ოფიციალური ცნობით, საბჭო მიესალმა ლავალს, მან მოიწონა რომის შეთანხმება და დაავალა ლავალს შეიტანოს ეს შეთანხმებანი დეპუტატთა პალატის ბიუროში რატიფიკაციისათვის (ადს).

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი
24 იანვარს უკანასკნელად აბონ. გარეშე სამსონ და დალილა
დალილა—ფატმა მუხტაროვა, სამსონი—ნ. ქუმსიაშვილი, ქურუმი—ა. ამირანაშვილი, დირიჟორი—ევგენი მიქელაძე.
ბილეთები იყიდება
ს ლარო ღიაა ყოველდღე დილით 11-დან 2 საათამდე, საღამოთი 6-დან 9 საათამდე.
შესვლა ლი კიბო „ოპერის" მხრიდან.

რუსთაველის სახ. თეატრი
15 იანვარს 12 აბ. 4 წარ. ლუმპანი
16 იანვარს 1 აბონ. 4 წარ. ლუმპანი
17 იანვარს 2 აბონ 4 წარ. ინტერვენცია
ყველა გადასახადი გაუქმებულია.
შემოტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი
14 იანვარს აბონ. № 14 მე-4 წარმ. — წარმოდგენა № 60 ოტელლო
15 იანვარს აბონ № 6 მე-4 წარ. — წარმოდგენა № 61 მზის დაბნელება საქ.
16 იანვარს აბონ. № 10 მე-4 წარ. — წარმოდგენა № 62 მზის დაბნელება საქ.
აბონენტთათვის ყველა გადასახადი
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი
სკოლის ორდადგმების დაკვეთით დ. ლის წარმოდგენები
18 იანვარს მზის დაბნელება საქ.
24 იანვარს უ იელ აკოსტა
30 იანვარს ოტელლო
დას წყი ი დღი 12 საათზე.
დაკვეთების მიღება თეატრის სალაროში დილის 11—2 ს. საღამოს 6—9 ს. წარმოდგენ ბზე კოლ ქტ. დასწრებისათვის. სკოლების მიერ წარმ. უნდა ი ეს დაკვეთები ა ნაკლებ 25 კაცის რაოდ ნობით ილ. ფასი 90 კაპ.—3 მან. 3-

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი 5-30, 8, 9-30, 11
ტემპი 6-30, 8, 9-30, 11
რ. ლუქსემბურგის სახ. 5-30, 7-20, 9-10, 11
„26"-ის კომ. სახ 6, 7-30, 9, 10-30
დადგმის უკანასკნელი მე-5 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი
მალე—სამი სიმღერა ლენინზე
მხატვრული ფილმი სპარტაკი გლად ა. ორლოვის ბელადი)
მალე რისკ. მემკვიდრე პრინცი
მხატვრ. ფილმი მთვარე მარცხნივ ბ. ვალენსკის და ლ. ეგოროვის მონაწ.
ხმოვანი ფილმი სამუელ ბულის ოთხი დარბაზობა
დღისით ცდომილი ვარსკვლავები
მთლად ქვალზე მე-3 სერია
დღის 12 საათიდან 2 საათ მდე, საღ. 6-დან 8-მდე „ოქტომბერი", „ლუქსემბ. სახ.", „26 კომ სახ." კინო-თეატრებში დირექტორებთა მიიღება განცხ. კოლებიდან დღის სეანსებზე არდადეგების განმავლობაში.

ყურადღება!!
19 იანვრიდან არდადეგების განმავლობაში „სახკინო" აწყობს
დღის საბავშვო სეანსებს
დღის 12 ს. და 1 ს. 30 წ.
კინო ოქტომბერი—ხმოვ. ფილმი სამი სიმღერა ლენინზე 19—24 იანვრამდე.
განუმეორებელი მოჩვენება 25 იანვრიდან.
II. კინო რ. ლუქსემბ. სახ.—ხმ. ფილმი დაგლეჯილ ფეხსაცმელი. 19—24 იანვრამდე.
მუნჯი ფილმი თავზეხელაღებ კლ ათას ული. 25 იანვრიდან.
III. კინო 26 კომ. სახ - მუნჯი ფილმი—ყველაზე ბუზღიანი, მეგობრები, კიონერია. 19 იანვრიდან.
მოგილოცავ გადასვლას 25-დან.
განცხადებები სკოლებიდა დირექტორებთან დღის 12 ს.—2-მდე და საღ. 6-დან 8-მდე
ბილეთები: ფასი მოსწავლეებისათვის 25 კაპ., მშობლებისათვის—50 კაპ.

ტფ. სახელმწ. გამ. განყოფილება
1935 წლ. იანვრიდან ყოველთვიურად გამოსცემს საოსწავლო-მეთოდურ ჟურნალს
„მასწავლებლის თან მგზავრი"
ჟურნალი გააშუქებს პრაქტიკულ სასკოლო-მეთოდურ საკითხებს.
ხელისმოწერა მიიღება რედაქციაში.
მისამართი: ფედერაციის მოედანი № 2, ტფ. სახ. გამ. განყოფილება, ოთახი № 105.
6466

საქართველოს განსახკომის კადრების მომზადების სამმართველო აცხადებს, რომ 17 იანვრიდან 22-მდე ჩატარდება ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუს რებელ სექტორის სტუდენტთა
საგამოცდო სესიები
აღმოსავლეთ საქართველოში, ტფილისის ფილიალში, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის, აჭარისტანისა და აფხაზეთისათვის—ქუთაისის პედინსტიტუტში.
22 იანვრიდან 25-მდე ქუთაისშივე ჩატარდება ყველა ფაკულტეტის 3, 5 და 7 სემესტრის სტუდენტთათვის შესავალი ლექციები ძირითად დისციპლინებში.
დასავლეთ საქართველოს სტუდენტთა ახალი ნაკადი შესავალ ლექციებს მოისმენს ქუთაისის პედინსტიტუტში 26 - 28 იანვრამდე.
სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით და დახ რული სასადილოთი, გამოწვეული მასწავლებლები 17—31 იანვრამდე თავისუფლდებიან ყოველგვარი სასკოლო მუშაობისაგან.
განათლების განყო ილებებს ევალებათ სტუდენტ-მასწავლებელთა უკლებლივი გამოცხადების უზრუნველყოფა.
განსახკომის პედ. კადრების მოსამზ. სამ. უფროსი კ ბერიძე.
ქუთაისის აბ ენუქიძის სახ. პედინსტიტუტის დირექტორი დ გვაზავა.
ბ. 13

ექიმი ს. 3. მუსხელიშვილი
თვალის სნეულებანი
ავადმყოფებს იღებს 5—7 საათამდე.
ყორღანოვის ქ. № 6.
6484 10-1

ი. მეიშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6½—8½ საათ.
მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ახლის დროვი საავადმყ ფოდან)

ამხანაგები: ბეგი ბერია, კ. ბერაძე, ც. თოლდუა, გრ. აბელიძე, გ. ირთელიშვილი, პ. ლორთქიფანიძე, ვ. აბაშიძე, მ. ვაწაძე, ი. ბერიშვილი, დვალი და გოცირიძე, იუწყებიან უახლოესი ამხანაგის ბავშობის წლებიდან
ლარისა წულაიას
უდროოდ გარდაცვალებას.

ოლია, შალვა, ალექსანდრე, ეკატერინა ლიუბა ლია და ინგა ელიავები იუწყებიან დიდის ბებიას
მაკრინე ქურციკიძის
გარდაცვალებას გამოსვენება რუსთაველის ქ № 13-დან

14-სკოლის მე-10 კლასის მოწაფეობა იუწყებიან საყვარელი ამხანაგის მეგობრის
თინა ქორქაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას.

შვილები: დარიკო, გიორგი, ოლია, სერგო, ლიზა, ანნა შვილებით ირა, ბორისი, ვლადიმერი სიძე ვიქტორი იმედაშვილი შვილებით: ჯილდა, გუგუნი იუწყებიან დედის ბებიის და სიდედრის
მაკრინე ქურციკიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 13

შვილები: თედო ცოლშვილით, კაკო ცოლშვილით, პავლუშა ცოლით, კატუშა შარშვილით, მიშა და შოთა იუწყებიან დედის
ეფროსინე ტოტიას—ასული ოდიშარიას
გარდაცვალებას. დასაფლავება 5 იანვარს.

ცოლი მინადორა, შვილები: ვალერიანი და ნინო, რძალი თამარა და სიძე მიქაბა ლამბაშიძეები შვილებით: ნათელა, როზეტა, საყვარელი და ლეილა იუწყებიან
ალექსანდრე ბედანის-ძე გვასალიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 იანვარს.

მშობლები: ეფროსინია, მიხეილ ქორქაშვილები და დეიდა სოფიო მარკოვსკაია იუწყებიან ერთად-ერთი შვილის და დისშვილის
თინას
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 საათზე. გამოსვენება ბინიდან სასამართლოს ქ. № 31 დაკრძალვა 15 იანვარს 4 საათზე.

საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი სპეციალისტი პავლუშა ოდიშარიას დედა
ეფროსინე ტოტიას-ასული ოდიშარია
გამოსვენება ჯულაშვილის ქ. № 12.

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რ ...ელის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—42—26, რედაქტორის მოადგილის 3—33—08. პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—94, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 2—78—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—61—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 2483